წლის შიraki

SHIRAKI

№49-50 (10.105)

31 დეკემბერი 2023 წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი ყოველკვირეული გამოცემა ფასი: 60 თეთრი

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი

ნუგზარ პაპიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ახალი გამოწვევებით-ახალი შესაძლებლობებისკენ

2023 წელს დედოფლისწყაროში ბევრი მასშტაბური პროექტი განხორციელდა. რითი იყო გამორჩეული 2023 წელი და რა იგეგმება მომავალ წელს, ამის შესახებ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრობს:

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „გასული 2023 წლის შეჯამება არ შემიძლია არ დავიწყო ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენის აღნიშვნით-ესაა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ეს არის გიგანტური წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის განვითარების გზაზე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს დედოფლისწყაროელებს და სრულიად საქართველოს მივულოცო ეს დიდი მიღწევა, მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ხელისუფლებას იმისთვის, რომ მიუხედავად ათასი სპეკულაციისა და ძირგამომთხრელი საქმიანობისა, რომელსაც ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ჩვენი ქვეყნის „კეთილისმყოფელები“ ეწეოდნენ, მაინც შეძლო ჩვენმა ხელისუფლებამ ის, რომ ევროპაში შევდივართ ღირსეულად, ევროპაში შევდივართ თავაწეულები და ძალიან მდიდარი ქართული ტრადიციებით. და მე ვფიქრობ, რომ ჩვენი მომავალი მართლაც ევროპულია და ევროპასაც სწორედ ასეთი კულტურული, უდიდესი ისტორიული წარსულისა და ნათელი მომავლის მქონე საქართველო სჭირდება. ერთ რამესაც დავამატებ ნახევრად ხუმრობით: მზე საქართველოში დედოფლისწყაროდან ამოდის, ევროკავშირში შესვლის შემდეგ, მთლიანად ევროკავშირში მზე საქართველოდან და კერძოდ კი დედოფლისწყაროდან ამოვა, რადგან ჩვენ ვიქნებით უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი გეოგრაფიულად ევროპულ ოჯახში.

ევროკავშირის წევრობა სასიკეთოდ აისახება როგორც მთელ საქართველოზე, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტზეც.

-უნდა ითქვას, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებამდეც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ევროკავშირის ეგიდით და დაფინანსებით არაერთი პროექტი განხორციელდა.

- დიახ, მე მეამაყება, რომ აქამდეც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი არაერთი პროექტის ბენეფიციარი და მოსარგებლეა ევროკავშირიდან წამოსული სიკეთეებისა და ამის ნათელი მაგალითია ხორნაბუჯის ციხე, რომლის რეაბილიტაციაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტია. მისი სახით ახალი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი შეგვემატა და დედოფლისწყარო სხვანაირად წარმოაჩინა. ხორნაბუჯის ციხის ინფრასტრუქტურა ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, რადგან მისი რეაბილიტაცია

/გაგრძელება გვ.3/

გ ი ლ ო ც ა ვ თ ა ხ ა ლ 2024 წ ე ლ ს !

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი	საწყისი საპრივატიზებო ფასი (ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასი (%)	„ბიჯი“ საწყისი ფასი (%)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	სოფელი სამრეკლო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	4896 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.07.37.361	12 000	10%	5%	100
2	სოფელი სამრეკლო	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	2448 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.07.37.362	6 000	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე.

აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 15 00 სთ-ზე.

მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. N44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222;

კოდი- 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

კოდი- 300 533 390 (არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი)

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური.

საკონტაქტო ტელ:

599 85 58 40 სააუქციონო კომისია

სტიქიამ არხილოსკალოსა და ქვემო ქედში სახლებს სახურავი გადახადა

28 დეკემბერს ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში და ქვემო ქედში მცხოვრები ბექაურებისა და გურასპაულების საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა .

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები მოინახულა, არსებულ სიტუაციას ადგილზე გაეცნო და მათ თანადგომას შეპირდა. მერის განცხადებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია ბექაურებსა და გურასპაულებს ზიანის აღმოსაფხვრელად თუნუქის სახურავებს გადასცემს.

„ძლიერი ქარი იყო, ამ თვეში ხუთჯერ მაინც იყო ასეთი ამინდი. ამჯერად სახურავმა ვეღარ გაუძლო და დავზიანდით. დიდი მადლობა მერიას, რომ ოპერატიულად ჩამოვიდნენ, დაათვალიერეს ჩვენი მდგომარეობა გულთან მიიტანეს და თანადგომას დაგვპირდნენ. მადლობა ყურადღებისათვის,“ - აცხადებენ ადგილობრივები.

საახალწლო ნობათი სათნოების სახლის ბენეფიციარებს

დედოფლისწყაროს სათნოების სახლში საქველმოქმედო აქცია გაიმართა. სოციალური სახლის ბენეფიციარებს დამდეგი ახალი წელი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საკრებულოს თავმჯომარის მოადგილესთან, გოჩა სამუკაშვილთან, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, მიხეილ ბახუტაშვილთან და მერიის სოციალური სამსახურის უფროსთან, დოდო ხუნაშვილთან ერთად მიულოცა.

საქველმოქმედო აქციის ფარგლებში სათნოების სახლის ბენეფიციარებს საახალწლო ნუგბარი გადაეცათ. სასაჩუქრე კალათით 170-მა ბენეფიციარმა ისარგებლა.

გილოცავთ ახალ წელს!

მაყვალა გონაშვილი (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე):

„ადამიანისთვის სამშობლო იქიდან იწყება, სადაც დაიბადა და გაიზარდა! ჩემთვის კი სამშობლო სოფელ არბოშიკიდან იწყება.

ჩემო ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ახალი 2024 წლის შემობრძანებას, სიკეთის მომტანი წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისთვის. ბედნიერებას გისურვებთ, მრავალ ახალ წელს!“

ნონა ხუმარაშვილი (მსახიობი)

„ჩემო ძვირფასო, მშობლიურო ხალხო, ჩემო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს, სიკეთე, სიხარული, დოვლათი და ბარქა თქვენ!... მიხარია ყოველი წარმატება, ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი და დაე სულ მუდამ გამარჯვება დაგბედებოდეთ, ჩემო ძვირფასებო, დედოფლისწყაროს რაიონი – ესაა ადგილი, სადაც „ჩემი ბავშობა დარბის“

გიორგი შავერზაშვილი, *თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის რექტორი:*

„ძვირფასო დედოფლისწყაროელებო! დიდი სიყვარულით გილოცავთ ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, ოჯახების კეთილდღეობას, სიხარულსა და ბედნიერებას. 2024 წელს დაგბედებოდეთ ხვავი, ბარაქა და ულევი წარმატებები. წელთა სიმრავლეს გისურვებთ თითოეულ თქვენგანს.

მიწის ნაკვეთების თაობაზე „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს გაეცნენ

სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მისაკუთრების ფაქტებზე ამნისტიის კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს პროკურატურის თბილისის და რეგიონალური ოფისები საქართველოს მასშტაბით საინფორმაციო შეხვედრებს მართავენ და ამნისტიის კანონის თაობაზე მოქალაქეებს ამომწურავ ინფორმაციას აწვდიან.

მორიგი საინფორმაციო შეხვედრა მათ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში გამართეს და მონაწილეებს კანონის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები და ადგილობრივი ფერმერები დაესწრნენ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების თაობაზე „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი საქართველოს მთავრობისა და პროკურატურის საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტმა მიმდინარე წლის 15 ნოემბერს დაამტკიცა. კანონის აღსრულების პროცესი 2025 წლის 1-ელ იანვრამდე გაგრძელდება.

ახალი გამოწვევებით-ახალი შესაძლებლობებისკენ

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა. 1990-იანმა წლებმა სათავე დაუდო განუკითხაობას და მას შეეწირა თამარის ციხეზე არსებული ყველა ობიექტი, შეილახა ისტორიული ძეგლიც და ხორნაბუჯამდე მისასვლელი გზაც ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებდა.

ბევრმა დედოფლისწყაროელმაც აღარ იცოდა, თუ რა სიმდიდრეს და ისტორიულ მარგალიტს ფლობდა ჩვენი მუნიციპალიტეტი. დასრულდა ციხის რეაბილიტაცია და ის ძალიან ლამაზია როგორ დღისით, ასევე ღამითაც. იქ მისვლა არანაირ სირთულესთან აღარაა დაკავშირებული და ამიტომაც მისი პოპულარობა ერთიორად გაიზარდა ამ მოკლე დროში.

24-საათიანი წყალი მართლაც თამამად შეიძლება შეფასდეს საშვილიშვილო და გრანდიოზულ პროექტად. დედოფლისწყაროს ისტორიაში პირველად აქვს მოსახლეობას უწყვეტი წყალმომარაგება.

ყველას ახსოვს, თუ რამდენ პრობლემას ქმნიდა უწყლობა და გაუსაძლისი გრაფიკი წყალზე. ეს სიტუაცია მოსახლეობისთვის განსაკუთრებით აუტანელი ხდებოდა ზაფხულში. დამკვეთისაქართველოს მთავრობისა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის და შემსრულებლის კეთილსინდისიერი შრომისა და დაჩქარებული ტემპის წყალობით, პროექტი ერთი წლით ადრე დასრულდა.

-მოსახლეობის მხრიდან ხშირად გაიგონებთ პრეტენზიას წყლის ხარისხთან დაკავშირებით. მათ სკეპტიციზმს ხელს უწყობს წყლის მღვრიე ფერიც...

-მოსახლეობაში ხშირადაა კრიტიკული შენიშვნები წყლის ხარისხთან დაკავშირებით. უფრო სწორედ, წყლის ხარისხი კარგია, მაგრამ რადგან ქსელი ძველია, გრაფიკიდან გამომდინარე, წყლის წნევა ხშირად არ იყო საკმარისი, ასევე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში, სადაც წყალი მაღალ სართულებზე ვეღარ ადიოდა, ხშირად ხდებოდა ქსელის თვითნებური გადაკეთება, რათა წყლის ინდივიდუალური კვანძები მოეწყოთ. როდესაც ივრიდან წყალი ამოვიდა, წნევაც გაიზარდა და გრაფიკიც მოიხსნა, თავი იჩინა უამრავმა ავარიამ. ავარიების მიზეზების აღმოფხვრა კი დროულად ხდება, მაგრამ სამუშაოების დროს ხდება მილების დაბინძურება, წყლის მღვრიე ფერიც ამისი „დამსახურებაა“.

მინდა დავარწმუნო ჩვენი მოსახლეობა, რომ ამ პრობლემასაც მოკლე ხანში ეშველება, რადგან ხდება ქსელის მოდერნიზება, გადაკეთება და მარშრუტების შედგენა. მოგეხსენებათ, ეს პროექტი ერთი წლით ადრე დასრულდა და შემსრულებელ კომპანიას მიეცა დავალება, რომ

დაამონტაჟოს სრულიად ახალი სისტემა, რომელიც საქართველოში ჯერ აპრობირებული არ არის. საუბარია წყლის გამწმენდ ნაგებობებსა და მოწყობილობებზე, რომელიც ნოუ ჰაუ იქნება და რომელიც წყლის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. უწყლობა სოფლებშიც დამთავრდა. თავწყაროსა და გამარჯვებაშიც ქსელი უკვე მოეწყო და ეს წყალი მიეწოდება ამ სოფლების მოსახლეობას. ზემო მაჩხაანშიც დასრულდა წყალმომარაგების სამუშაოები და ნანატრი წყალი რეალობად იქცა. ალაზნისპირა სოფლებში აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები და გაისად წყლის პრობლემა აქაც მოგვარდება. შეიძლება ითქვას, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის პრობლემა თითქმის მთლიანად მოხსნილია. ეს ყველაფერი კი 2023 წელმა მოგვიტანა, როდესაც კონკრეტული შედეგი დადგა და წყლის დებეტის გაზრდა მდინარე ივრიდან რეალობად იქცა.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია სიღნაღი-დედოფლისწყაროს დამაკავშირებელი უმოკლესი გზის რეაბილიტაციისდაწყება. მოგეხსენებათ, რომ ქართულ ოცნებას, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, ურთულესი მემკვიდრეობა დახვდა ამ მხრივ და გზები, ფაქტობრივად, ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. თბილისშიც ვეღარ დავდიოდით ჩვეული გზით, რომელიც ჩვენთვის ძალიან მოკლეა-საუბარი მაქვს გამარჯვება-ბოდბე მაღაროს გზაზე. იძულებულები ვიყავით შემოვლითი გზით-არბოშიკი-მაჩხაანის გზით დავდიოდით, რომელიც მაშინვე არ იყო კარგი ხარისხის. მაგრამ დანარჩენ მუნიციპალიტეტში საერთოდარ არსებობდა გზები, ამიტომ გზების რეაბილიტაცია დაიწყო და ახლა, ოზაანიდან -საბათლოს ბოლომდე ახალი, თანამედროვე სტანდარტების გზებით დავდივართ. ეს მონაკვეთი, რომელიც ადრე შედარებით კარგი იყო, ბოლო დროს საგრძნობლად დაზიანდა და შესაბამისად, მისი სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. გაისად სექტემბერში დასრულდება.

ცალკე გამოყოფის ღირსია პრემიერის ინიციატივით დაწყებული პროექტი-განახლებული რეგიონები. პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების წყალობით დედოფლისწყაროს ცენტრი რადიკალურად შეიცვალა, გაუმჯობესდა და მან ევროპული ქალაქის იერი მიიღო.

დედოფლისწყაროს შემოსასვლელში ახალი პარკის მშენებლობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. პროექტში დასაქმებულებმა არ იციან არც უქმე დღეები და ისინი დილიდან გვიან ღამემდე მუხლჩაუხრელად შრომობენ, რათა დროულად მოხდეს პარკის რეაბილიტაცია და 2024 წელს დედოფლისწყაროს ჰქონდეს ის რეკრეაციული ზონა, რომელიც ასე აკლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

მე ბედნიერი და ამაყი ვარ, რადგან შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თითქმის ყველა მსხვილი წინასაარჩევნო დაპირება შევასრულე. მათ შორისაა დედოფლისწყაროს კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა.

გზების რეაბილიტაცია რომ ყველგან განხორციელდა, ეს ახალი ამბავი აღარავისთვისაა. საგზაო ინფრასტრუქტურა მოეწყო ყველგან, მათ შორის სოფლებშიც. მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია ნიკო ფიროსმანის სახლმუზეუმთან მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია. რომელიც ტურისტებს კარგი, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით სარგებლობის საშუალებას მისცემს. ეს კი ახალი ვიზიტორების მოზიდვის და ახალი შესაძლებლობების გარანტიაა დედოფლისწყაროსთვის და მისი მაცხოვრებლებისთვის. ჩვენ საშუალება გვეძლევა, ყველა რესურსი გამოვიყენოთ განვითარებისთვის და ეკონომიკური გაძლიერებისთვის. ამაში ბისფერული რეზერვატის სტსტუსიც მეტად დაგვეხმარება. ცოტა ხანში ყველა მიხვდება, რომ ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრება და ამით მიღებული სარგებელი მითი არაა.

2024 წლის გაზაფხულზე, პირველად დედოფლისწყაროში, გვექნება მუნიციპალური ავტობუსები. ისინი იქნებიან პირველი მერცხლები. შეიქმნება ერთიანი სიტემა- ქალაქი დედოფლისწყარო- ხორნაბუჯი-სამრეკლო. საწყის ეტაპზე ამ დასახლებულ პუნქტებს მოემსახურება ორი ავტობუსი. მარშრუტიც შერჩეულია-სამრეკლოს ცენტრიდან ქალაქ დედოფლისწყაროზე გავლით ხორნაბუჯის ცენტრალურ პარკამდე. მარშრუტის შედგენა ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით მოხდა. ავტობუსებზე ხელშეკრულება უკვე დადებულია და მათი მოწოდების ბოლო ვადაა მარტის თვე.

სამომავლოდ იგეგმება სატრანსპორტო პარკის გაზრდა და მუნიციპალური ტრანსპორტის სხვა სოფლებში დანიშვნაც.

-ხშირად ამბობთ, რომ ახალგაზრდობაზე ზრუნვა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია თქვენთვის მნიშვნელოვანია...

-დიახ, ეს ნამდვილად ასეა. ვიცი, რომ დედოფლისწყაროში კიკბოქსინგი სპორტის პოპულარული სახეობაა და მინდა გავახარო ყველა სპორტსმენი და გულშემატკივარი, რომ კიკბოქსინგის დარბაზის ასაშენებლად გამოცხადებული ტენდერი დეკემბრის ბოლოს დასრულდა, 2024 წლის დასაწყისში მოხდება კონტრაქტის გაფორმება. იანვარში დაიწყება დარბაზის მშენებლობა და ის 2024 წლის დეკემბერში დასრულდება. დედოფლისწყაროელი კიკბოქსინგელები არა მარტო კარგ პირობებში ივარჯიშებენ, არამედ თანამედროვე სტანდარტის არენაზე უმასპინძლებენ ნებისმიერ ტურნირს.

2024 წელს ახალ შენობაში მიიღებს მოსწავლეებს სამთაწყაროს საჯარო სკოლა, ოზაანის სკოლაშიც აქტიურად მიმდინარეობს შენობის შიდა სამუშაოები და ახალ სასწავლო წელს მოსწავლეები ამ სკოლაში იზეიმებენ. მიმდინარეობს ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის ახალი შენობის საძირკვლის გათხრა, დაიწყო სკოლის მშენებლობა და ის 2024 წელს გაგრძელდება; ზემო ქედში დაიწყება ახალი სკოლის მშენებლობა, რადგან არსებული შენობა ავარიულია; მიმდინარეობს სამრეკლოს სკოლის სრული განახლება და დაიწყება არბოშიკის სკოლის მშენებლობა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცო დამდეგი 2024 წელი, ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება, წარმატებები, ერთიან, მთლიან და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

არასამთავრობო სექტორმა წელი შეაჯამა

დედოფლისწყაროს არასამთავრობო სექტორმა 2023 წელს ბევრ საერთაშორისო ფონდთან ითანამშრომლა, უმასპინძლა უცხოელ სტუმრებსაც და ბევრიპროექტიც განახორციელა.

რა მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა 2023 წელს დონორებთან თანამშრომლობით? - ამის შესახებ დედოფლისწყაროს მერიის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი ანა ბენაშვილი საუბრობს:

-გასული წელი საკმაოდ მსხვილბიუჯეტიან საგრანტი პროგრამებს ითვლის. თითქმის უკვე დასრულდა ევროკავშირის დაფინანსებით, ხორნაბუჯის ციხის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა მრავალფუნქციურ რეკრეაციულ სივრცედ, რამაც ის ახალი მიზიდულობის ცენტრად აქცია.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის მიერ მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებულ საგრანტო პროგრამაში „ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი“, მოიპოვა საგრანტო დაფინანსება და GIZ-თან თანამშრომლობით დაიწყო პროექტის: „ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნების მუზეუმის რენოვაცია - მისი გადაქცევა მრავალფუნქციური მიზიდულობის ცენტრად“ - განხორციელება. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია და მომავალი 2024 წლიდან დაიწყება მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ერთერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გრანტით დაფინანსებული პროექტი, რომელიც დედოფლისწყაროში სოფლის ტურიზმის და ტურისტული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ამ პროექტში უდიდეს ძალისხმევა ჩადო ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციამ დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციასთან თანამშრომლობით. შედგა ორმხრივი სასწავლო ვიზიტები, რამაც დიდი პრაქტიკული გამოცდილება შესძინა ქართულ მხარეს.

მეორე წელია, რაც დედოფლისწყარო აქტიურადაა ჩართული საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის პროექტში - ECO. Georgia, რომელიც კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ ფინანსდება და ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და საქართველოს მთავრობის მიერ. ამ პროექტის ფარგლებში იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებები ტყის მდგრადი მართვის და ტყის მერქნული და არამერქნული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებზე. სამუშაო შეხვედრებზე აქტიურად განიხილებოდა ტყეების დაცვის, სატყეო განათლების საკითხები, ასევე, ტყის რესურსების გამოყენება რეკრეციული მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ეკოტურიზმის განვითარებას, იგეგმება ასევე, მწვანე ნარგავებისთვის და ტყეებისთვის სტატუსის განსაზღვრა და მუნიციპალიტეტებისთვის მართვაში გადაცემა, რაც მუნიციპალიტეტს და მოსახლეობას ეკონომიკური სარგებელის მოტანის შანსს მისცემს. ამ პროექტის ფარგლებში, ინტენსიური ტრენიგ კურსები გაიარეს სამიზნე მუნიციპალიტეტების დაინტერესებულმა ბიზნეს სუბიექტებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მეწარმეობის და ბიზნეს გეგმების განვითარების მიმართულებით. წლის ბოლოს კი გამოცხადდა მცირე საგრანტო კონკურსი ტყის მდგრადი მართვის იდეების წარსადგენად. ამ ეტაპზე მიმდინარეობს განაცხადების განხილვა.

ევროკავშირის დაფინანსებით პროექტის

/გაგრძელება გვ.9/

„პროფესიონალი გუნდის დახმარებით დავძლიეთ ყველა სირთულე და გამოწვევა“

დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრისთვის 2023 წელი დიდი ცვლილებებისა თუ გამოწვევების წელი აღმოჩნდა. ცენტრში რეორგანიზაცია მოხდა, რის შედეგადაც მან ახალი ძალებითა და შემართებით დაიწყო საქმიანობა, რაც საზოგადოებისთვის სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების შეთავაზებაზეც აისახა. გაზეთი „შირაქი“ წლის შესაფასებლად და შემაჯამებელი „სიტყვის“ მოსასმენად, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორს, ქალბატონ ლია მაისურაძე-გონაშვილს ესტუმრა:



ლია მაისურაძე-გონაშვილი: „როგორც ცნობილია, 2023 წლის ივნისში, რეორგანიზაციის შედეგად მოხდა ორი აიპ-ის „კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრისა“ და „სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის“ შერწყმა. შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ა(ა)იპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი“, რომლის ხელმძღვანელადაც დავინიშნე. ეს იყო ჩემთვის ურთულესი პერიოდი, მაგრამ ყველაფერი ეტაპობრივად დასტაბილურდა. ამის მიზეზი კი პროფესიონალებისგან შექმნილი ის გუნდია, რომელიც მუდმივად გვერდში მედგა. მათი მხარდაჭერით გადავლახე ყველა სირთულე და დავძლიეთ ყველა გამოწვევა.

რაც შეეხება წლის დასკვნით სიტყვას. მინდა შევაჯამო ეს წელი და თითოეულ მიმართულებაზე შეძლებისდაგვარად ამომწურავად გესაუბროთ. თვალსაჩინო იყო წელს ჩვენი კულტურის მუშაობა. ფაქტობრივად, მთელი წლის განმავლობაში, საზოგადოებას სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები შევთავაზეთ. გამოვყოფდი ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონი“ 10 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ფოტო, დეკორაციებისა და კოსტიუმების გამოფენას. ასევე კულტურის სახლის დირექტორის, ახალგაზრდული თეატრის „ბერიკონი“ ხელმძღვანელის, ცარო მარტიაშვილის ვარსკვლავის გახსნას და სპექტაკლ „ბახტრიონის“ პრემიერას. აღნიშნული სპექტაკლი თეატრმა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის ეზოშიც ითამაშა. ამ გასვლითმა ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა საზოგადოების მხრიდან. ასევე მნიშვნელოვანი იყო ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „ხორნაბუჯი“ საანგარიშო კონცერტი, რომელიც ზაფხულში შედგა. ასევე ზაფხულში საქართველოს მთავრობის ორგანიზებითა და ხელშეწყობით, მერიის წინ მდებარე სკვერში გაიმართა მუსიკალური საღამო, სადაც ქართული ესტრადის ვარსკვლავებმაც მიიღეს მონაწილეობა.

განსაკუთრებული იყო ყველა დედოფლისწყაროელისთვის საყვარელი დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“, რომელიც ასევე საქართველოს მთავრობის დაფინანსებითა და ხელშეწყობით ჩატარდა. მოეწყო სხვადასხვა ტიპის გამოფენები, კონფერენციები, სადღესასწაულო კონცერტზე იმღერეს როგორც ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა, ასევე მოწვეულმა ბენდებმა და ჯგუფებმა. გამოვლინდნენ საპატიო დედოფლისწყაროელებიც. ჩვენს ცენტრში ხშირად ვმასპინძლობდით სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ადამიანებს. მათ შორის იყო ფოკლორულ-ეთნოგრაფიული თეატრი „ამერ-იმერი“. შეხვედრამ საკმაოდ დადებით გარემოში ჩაიარა.

ვისაუბრებ მუზეუმებზეც. მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა გააგრძელა დედოფლისწყაროს გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების ამსახველი მასალების შეკრება-მოძიება. დამუშავდა ნიკო მამაიაშვილისა და ალექსანდრე ალადაშვილის შესახებ ცნობები. გაიმართა ლევან ალავერდაშვილი ხსოვნის საღამო. მისი ნაადრევი გარდაცვალება ჩვენთვის ყველასთვის დიდი დანაკლისი და გულისტკივილია. ჩეხეთის კულტურის თაოსნობით გაიმართა გამოფენა ჩეხი ქალების შესახებ. დამუშავდა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო თემები, დაახლოებით 5 თემა. ვიზიტორთა რაოდენობამ 500 ადამიანი შეადგინა. რაც შეეხება ხალხთა მეგობრობის მუზეუმს, აქაც დამუშავდა სამი სამეცნიერო თემა, მუზეუმმა მიიღო 300 ვიზიტორი. გამოვარჩევდი, ახმეტელის სახელობის თეატრის სტუმრობას და ღია ცის ქვეშ სპექტაკლის ჩატარებას.

რაც შეეხება ბიბლიოთეკების მუშაობას. მოგეხსენებათ, რომ საბიბლიოთეკო გაერთიანება მოიცავს ერთ ცენტრალურ და 13 სასოფლო ბიბლიოთეკას 23 საშტატო ერთეულით. მთელი წლის განმავლობაში საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობდა გეგმა-გრაფიკის მიხედვით. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობის პროცესში ითვალისწინებს მკითხველთა ინტერესებს. კეთდება როგორც მუდმივი, ასევე თემატური გამოფენები: საქართველო ვაზისა და ღვინის ქვეყანა, საქართველოსთვის დამაშვრალნი, მსოფლიოს საბავშვო მწერლები და ა.შ. ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მკითხველთა და თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამო ,ზეპირი ჟურნალიშეხვედრები, წიგნებით მოგზაურობა, ლიტერატურული საღამოები, ლექცია-მოხსენებები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, ინფორმაციის დღე, სპეციალისტის დღე, ექსკურსიები და გამოფენები. სულ 689 მასობრივი ღონისძიება. 2023 წელს სულ 98 ახალი წიგნია შემოსული, აქედან 63 წიგნი არის 900 ლარის ღირებულების ფარგლებში სახელმწიფო პროგრამის - ამერიკის საელჩოსა და ფონდი არველაძეების თანადგომით შემოსული. მკითხველზე გაცემულია 139,136 ცალი წიგნი. საბიბლიოთეკო გაერთიანება მოემსახურა 7910 მკითხველს. 2024 წლისთვის სულ საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნადი ფონდი არის 207,384 ცალი წიგნი.

-როგორი იყო ეს წელი ჩვენი ახალგაზრდებისთვის?

- ახალგაზრდობის სამსახურმა წელსაც, როგორც ყოველთვის, თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ცენტრის განვითარების საქმეში. ცენტრის ინიციატივით, აღინიშნა ქალთა დღეები, ასევე ჩატარდა ნინო კიკილაშვილის სახელობის ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“: არბოშიკის, ქედებისა და დედოფლისწყაროს ზონებისთვის. შედგა ფინალიც. სამსახურმა აქტიურად შეუწყო ხელი ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და მის დამკვიდრებას ახალგაზრდების ყოველდღიურობაში. ახალგაზრდობის დღე აღინიშნა ხალხთა მეგობრობის მუზეუმში. გარდა ამისა, საპატრიარქოს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში გაიმართა ღონისძიება „უკეთ გავიცნოთ ჩვენი მხარე“ - ცნობილი არბოშიკელების შესახებ, რომელსაც ბავშვების მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა. ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის „რა, სად, როდის?“ მუნიციპალური ჩემპიონატი, სადაც მონაწილეობა მიიღეს არბოშიკის, ქედების, დედოფლისწყაროს ზონამ.

ასევე უნდა ვახსენო, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მუშაობა. 2023 წლის ივნისიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ღონისძიებებში მონაწილეობდა 80 მოსწავლე. ღონისძიებებს ძირითადად ატარებენ მხატვრულ-შემოქმედებითი და ინტელექტუალური წრეები. ამავე დროს მათემატიკის წრის ხელმძღვანელმა მზია ბაშარულმა ოქტომბერ - ნოემბერში ჩაატარა ,,ზაფხულის არდადეგები მათემატიკურ ჭრილში” და „მათემატიკა და არქიტექტურა”. ნოემბერში ნინო სიფრაშვილმა ჩაატარა საშემოდგომო ღონისძიება „ოდა ვაზისა”. დეკემბერში თამარ აბულაძემ ჩაატარა დებატები თემაზე ,,ძალადობა და აგრესია“ და „გზა ევროპისკენ“.

-როგორ მიმდინარეობდა სპორტული ცხოვრება 2023 წელს?

როგორც ცნობილია, დედოფლისწყარო გამოირჩევა თავისი აქტიური სპორტული ცხოვრებით. არც ეს წელი იყო გამონაკლისი. სპორტის სხვადასხვა მიმართულებამ თავისი უმაღლესი შედეგები დადო. დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე პროგრამის „ჩაერთე რაგბში“ ღონისძიება გაიმართა, რომელშიც დედოფლისწყაროს ოთხი საჯარო სკოლა და სიღნაღის ორი საჯარო სკოლა მონაწილეობდა.

სოფელ ქვემო ქედში გაიმართა ვეტერან ფეხბურთელთა ღია ტურნირი, რომელშიც ჩემპიონი ზემო ქედის გუნდი გახდა, მეორე და მესამე ადგილებზე კი ქვემო ქედი და არხილოსკალო გავიდნენ. ასევე ქვემო ქედში გაიმართა სოფლის პირველობა ფეხბურთში ბავშვთა შორის, სადაც გაიმარჯვა გუნდმა „ნიკორა“. სოფელ ფიროსმანში გაიმართა აგვისტოს ომის გმირის - თეიმურაზ ბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველობა ფეხბურთში.

სპორტის ცენტრის სპორტულ დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ძალისმიერ სპორტში (სამჭიდი, წოლჭიმი) ახალგაზრდებს შორის.

აქტიურობა იყო ფეხბურთშიც. დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საფეხბურთო პირველობა გაიმართა. ქედების ღია პირველობა გაიმართა მინი-ფეხბურთშიც, ანგარიში ზემო ქედსა და ქვემო ქედს შორის ფრედ, 2:2 დასრულდა, ხოლო პენალტების სერიაში ზემო ქედმა იმარჯვა. სოფელ ქვემო ქედში ჩატარდა ლევან ნათათრალაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი მინი ფეხბურთში. სოფელ ქვემო ქედში ჩატარდა სოფელ ქვემო ქედის ღია პირველობა მინი-ფეხბურთში, სადაც ქვემო ქედის 4 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვებული გახდა გუნდი - „ლეგიონერები“.

დედოფლისწყაროს ჭიდაობის დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ჩვენმა გუნდმა 5 პირველი და საპრიზო ადგილები მოიპოვა. დედოფლისწყაროში სტუმრად კახეთის რეგიონის სხვადასხვა გუნდებიც იმყოფებოდნენ. სოფელ ზემო ქედში გაიმართა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, ჩვენი გუნდის სპორტსმენებმა 4 პირველი, 2 მეორე და 3 მესამე ადგილი მოიპოვეს. ელიის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე შედგა ბიძინა მაზიაშვილის სახელობის მემორიალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში.

გაიმართა ტრადიციული ჩემპიონატი კიკბოქსინგში „რიგნის რაინდები“.

ხორნაბუჯის ციხემდე მისასვლელ ახალ გზაზე, 3,8 კილომეტრიან დისტანციაზე გაიმართა დედოფლისწყაროს ღია პირველობა მძლეოსნობაში (სირბილში).

სოფელ ოზაანში ჩატარდა დედოფლისწყაროს ღია პირველობა მკლავჭიდში.

ქალაქ დედოფლისწყაროს სპორტის შენობაში გაიმართა დედოფლისწყაროს მე-7 ღია პირველობა უშუ-სანდაში, სადაც მონაწილეობდა საქართველოს ექვსი მუნიციპალიტეტის რვა გუნდი 63 მონაწილით, 20 სხვადასხვა კატეგორიაში.

-როგორ შეაფასებთ განვლილ წელს მიღწევების მიხედვით?

ჩვენი ცენტრისთვის საკმაოდ შრომატევადი და აქტიური წელი იყო. თითოეულმა სამსახურმა, გარკვეული სირთულეებისა და გამოწვევების მიუხედავად, თავი კარგად გაართვა დაკისრებულ მოვალეობას. ეს კი, განვმეორდები და გეტყვით, რომ იმ გუნდის დამსახურებაა, ვის მხრებზეც გადადის თითოეული ღონისძიების დაწყებაც და დასრულებაც. მადლობა მათ ამისთვის.

-თქვენი სურვილები 2024 წლისთვის...

ახალ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვუსურვებ მშვიდობას, ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს. წარმატებისა და სიკეთის წელი ყოფილიყოს.

„რა, სად, როდის?“ მუნიციპალური ჩემპიონატის გამარჯვებული ცნობილია

28 დეკემბერს, დედოფლისწყაროს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის სპორტულ დარბაზში მუნიციპალური, შემოდგომა-ზამთრის ინტელექტუალური ჩემპიონატის- „რა? სად? როდის?“ ფინალური შეხვედრა გაიმართა.

ჩემპიონატში მონაწილეობდნენ ზემო მაჩხაანის გუნდი „ოსტრაკიზმი“, ზემო მაჩხაანის გუნდი „მეროვინგები“, არხსილოსკალოს გუნდი „კარიატიდა“, ქვემო ქედის გუნდი „ნიკე“, გამარჯვების გუნდი „გამარჯვება“ და საპატრიარქოს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატი გუნდით „გორგასალი“.

მუნიციპალური, შემოდგომა-ზამთრის ინტელექტუალური ჩემპიონატის გამარჯვებული ზემო მაჩხაანის გუნდი „ოსტრაკიზმი“ გახდა, ხოლო საუკეთესო მოაზროვნის ტიტული კი ამავე გუნდის წევრმა, გიორგი ტოკლიკიშვილმა დაიმსახურა.

გეტყვით, რომ ფინალი საკმაოდ დაძაბული გამოდგა, რადგან მეორე და მესამე ადგილების გამოსავლენად დამატებითი ტური დაინიშნა. ადგილები კი ასე გადანაწილდა: მეორე ადგილი დაიკავა არხიოსკალოს გუნდმა „კარიატიდა“, ხოლო მესამე ადგილი კი - საპატრიარქოს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის გუნდმა „გორგასალი“ მოიპოვა.

შეხვედრას ესწრებოდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი ლია მაისურაძე-გონაშვილი, რომელმაც ამავე ცენტრის მთავარ სპეციალისტთან ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში ლელა ბილიაშვილთან ერთად ჩემპიონატის გამარჯვებულებს და მონაწილე გუნდებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

საკრებულოსა და მერიის კოორდინირებული მუშაობა მნიშვნელოვანია

2023 წელი ძალიან დატვირთული იყო დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურულიპროექტების სიმრავლით. როგორ აფასებს გასულ წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნუგზარ პაპიაშვილი,** ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

— საკრებულოს ფუნქცია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლია. რას იტყოდით, როგორი იყო 2023 წელი დედოფლისწყაროსთვის და რამდენად მიზანმიმართულად იხარჯებოდა საბიუჯეტო თანხა?

— საკრებულო და მერია არის ხელისუფლების ორი შტო. საკრებულო, როგორც საკანონმდებლო ორგანო, მერია-როგორც აღმასრულებელი. ბიუჯეტი არის მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი. დავუშვათ და საკრებულომ არ დაამტკიცა მერიის ესა თუ ის ინიციატივა, არ დაამტკიცა ბიუჯეტი, მაშინ შეიქმნება კრიზისი და მუნიციპალიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს შეექმნება ფუნქციონირების პრობლემა. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ამ ორი შტოს კოორდინირებული მუშაობა, მაგრამ კონტროლის ფუნქცია არ უნდა დაკარგოს საკრებულომ. აგერ, 2023წელი 23 მილიონი ლარით დავამთავრეთ. ერთპიროვნულად ამხელა თანხის ხარჯვას ვერავინ გადაწყვეტს, ამიტომ დიდი როლი აკისრია საკრებულოს თანხის ხარჯვის კონტროლისა და განაწილების საკითხში. საკრებულოში შექმნილი 5 კომისია, რომელიც მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს. ისინი მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად განიხილავენ ყველა საკითხს და წყვეტენ, როგორ განაწილდეს საბიუჯეტო თანხები. ამ კომისიების შემადგენლობაში შედიან საკრებულოს წევრები როგორც მმართველი პარტიიდან, ასევე ოპოზიციიდან. ყველას აქვს აზრის გამოხატვის საშუალება, კრიტიკული შენიშვნის უფლება, რომელიც რეგულირდება ჩვენი დებულებით. ასე რომ, ჩვენთან ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღება არ ხდება და ვცდილობთ,საპირისპირო აზრი თუ მოსაზრება, თუ ის კომპეტენტურია, გავითვალისწინოთ.

მეამაყება, რომ საბიუჯეტო თანხების ხარჯვისას ჩვენს მუნიციპალიტეტში არცერთი ფინანსური გადაცდომა და თანხის არამიზანმიმართულად ხარჯვის ფაქტი არ გამოვლენილა. ეს კი როგორც მერიის, ასევე საკრებულოს დამსახურებაა.

— წლის დასაწყისში დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი 13 მილიონი ლარით განისაზღვრა, თუმცა, წლის ბოლოსთვის ეს თანხა მნიშვნელოვნად გაიზრდება. იქნებ აუხსნათ მოსახლეობას, როგორ მოხდება მისი ზრდა?

— დიახ, ასეა. ეს თანხა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებითაა დაგეგმილი, თუმცა, წლის ბოლომდე სხვადასხვა პროექტის დაფინანსება სხვადასხვა ფონდიდან მოხდება, რაც ბიუჯეტის ზრდას გამოიწვევს. 2023 წელს უამრავი ინფრასტრუქტურულიპროექტი განხორციელდა, რომელმაც მოაწესრიგა საგზაო ინფრასტრუქტურა, გაზიფიცირდა მთლიანი მუნიციპალიტეტი, წყალი ფუფუნება აღარ გახლავთ დედოფლისწყაროსთვის, საბავშვო ბაღების დაფინანსება საგრძნობლად გაიზარდა და ბავშვებისთვის იდეალური პირობები შეიქმნა.

— გეთანხმებით, რომ ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ამ ყველაფერმა გავლენა თუ იქონია მოსახლეობის მიგრაციაზე, განსაკუთრებით სოფლად?

— მოგეხსენებათ, მე ქვემო ქედში ვცხოვრონ, იქედან დავდივარ და მუდმივი კავშირი მაქვს მოსახლეობასთან. ერთი ოჯახი საბერძნეთიდან საცხოვრებლად დაბრუნდა ქვემო ქედში.. ზოგიერთი თბილისიდან მთელი ოჯახით ჯერ არ დაბრუნებულა, მაგრამ ოჯახის რამდენიმე წევრი ჩამოვიდა, მიტოვებული კარ-მიდამო მოაწესრიგა და შინამეურნეობას მიხედა.

ზოგიერთმა მიწები მოიკითხა, მათი დამუშავება დაიწყო, ნაწილმა ვენახიც გააშენა...ჯერ მიგრაციის კლება ისეთი თვალშისაცემი არაა, მაგრამ როცა სოფლად ყველა საბაზისო პირობა არსებობს, ეს დროც დადგება, კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაუბრუნდება მშობლიურ კერას.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებამ ქალაქ დედოფლისწყაროში ბინებზე მოთხოვნა და ფასიც გაზარდა. ეს ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ რეგიონების განვითარება დადებითად აისახება მაცხოვრებელთა რიცხოვნობის გაზრდაზეც.

— თქვენი აზრით, ამდენი გაკეთებული საქმის მიღმა, რა პრობლემაა დღეს ყველაზე აქტუალური?

— დასაქმების პრობლემა კვლავ აქტუალურია. თუმცა, სხვადასხვა სააფთიაქო ქსელისა თუ ქსელური მარკეტების ფილიალების გახსნამ ეს პრობლემა ნაწილობრივ მოხსნა,მაგრამ მთლიანად ვერ მოაგვარა. დედოფლისწყაროში კვლავ ბევრი პროექტი განხორციელდება, რომლებიც ამ პრობლემის გადაჭრაში დადებით როლს შეასრულებს. ხორნაბუჯის ციხის რეაბილიტაცია, დედოფლისწყაროს ცენტრალური პარკის მშენებლობა ახალ შესაძლებლობებს მისცემს დედოფლისწყაროელებს-სარეკრეაციო სივრცის გარდა აქ მოეწყობა ატრაქციონები და მაღაზიები, სადაც ადგილობრივებს ბიზნესის წარმოება და საკუთარი პროდუქციის რეალიზება შეეძლებათ.

ჩვენი ხელისუფლების მიზანია, ყველა ადამიანს ჰქონდეს სამსახური და გარანტირებული ანაზღაურება.

მინდა, ჩვენს მოსახლეობას მივულოცო დამდეგი 2024 წელი, ვუსურვო ჯანმრთელობა, ეკონომიკური ცხოვრების უკეთესად მოწყობა. საქართველოს ოცნება, საუკუნეების მანძილზე, იყო ევროპასთან დაახლოება. ჩვენი ქვეყანა, ვერ ვიტყვი სწრაფად, მაგრამ ბოლო მომენტში მიღებული გადაწყვეტილების წყალობით, უკვე გაბედული ნაბიჯებით მიიწევს ევროპისაკენ. მიხარია, რომ ეს ყველაფერი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ხდება და სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს. ევროპამ კარი უკვე გაგვიღო, ეს კი მეტი ეკონომიკური წინსვლის წინაპირობაა.

მრავალ ბედნიერ ახალ წელს, ჩემო დედოფლისწყაროელებო!

ინგა შიოლაშვილი

წლის სპორტსმენი - გიორგი ხიზანიშვილი

,,სპორტი ჩემთვის ცხოვრების გზა გახდა“

2023 წელი ამ ადამიანისთვის გამორჩეულად წარმატებული აღმოჩნდა. მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა დონის ტურნირებზე მოპოვებული უმაღლესი სინჯის მედლები, მოპოვებული წარმატება და აღიარება მსოფლიო ჩემპიონობით დააგვირგვინა და სიამაყით ააფრიალა ქართული დროშა. დიახ, სწორედ მიხვდით. ეს* ГИОРГИ ХИЗАНИШВИЛИА*, რომელიც გაზეთმა „შირაქმა“ წლის სპორტსმენად დაასახელა. ის თუ როგორ აფასებს გასულ წელს, რომელ სპორტულ მიღწევას გამოარჩევს, რა გამოცდილება შესძინა სხვადასხვა შეჯიბრებებმა, წლის სპორტსმენი გიორგი ხიზანიშვილი გვესაუბრა:

-გიორგი, შენთვის როგორც სპორტსმენისთვის, როგორ ჩაიარა 2023 წელმა? როგორ შეაფასებდი განვლილ წელს?

უპირველეს ყოვლისა, მოგესალმებით და მივესალმები გაზეთ „შირაქის“ მკითხველს. გულახდილად გეტყვით, 2023 ნელი ჩემთვის, სპორტული თვალსაზრისით, იმაზე კარგი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოვიდგენდი. ეს წელი საკმაოდ დატვირთული იყო ჩემპიონატებითა და სარეიტინგო ტურნირებით, რამაც უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახადა ის. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ამ წელმა ტრიუმფით განვლო, ვინაიდან წლის დასაწყისშივე სტამბულში გამართულ სარეიტინგო ტურნირში, ვერცხლის მედალი მოვიპოვე. შემდეგ იყო ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთში, სადაც ოქრო ავიღე, როტერდამის პარალიმპიურ თამაშებზეც - ოქრო და ბოლოს, მექსიკის შტატ ვერაკრუზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ღირსეულად მოვიპოვე ასევე ოქროს მედალი. კიდევ უფრო მახარებს ის ფაქტი, რომ მსოფლიო ტაეკვონდოს ფედერაციამ ელიტურ სპორტსმენთა სიაში შემიყვანა, ამიტომ მადლიერი ვარ ღვთისა და ყველა ადამიანის, ვინ ჩემს წარმატებაში წვლილი შეიტანა.

-რომელია შენთვის წლის სპორტული მიღწევა? რომელ გამოსვლასა თუ შეჯიბრს მიიჩნევ გარდამტეხად, რომელმაც შენზე დიდი გავლენა იქონია?

ჩემთვის ყველა შეჯიბრი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან თითოეული შეჯიბრის შემდეგ დიდი გამოცდილება მიგროვდება. თუმცა, გამოვარჩევ მსოფლიო ჩემპიონატს მექსიკაში. ამავე შეჯიბრზე ვიტყვი, რომ სპორტული მენტალობის კუთხით საკმაოდ გავიზარდე და სხვა საფეხურზე გადავედი. გარკვეულწილად, საკუთარ თავში დავამარცხე შიშები და ჩემში მღელვარებაც შევამცირე, ამიტომ, ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატმა დიდი გავლენა იქონია, რასაც ცხადია დადებითად ვაფასებ.

-რა გეხმარება რთული და სტრესული სიტუაციების გამკლავებაში?

სტრესი და მღელვარება, გარდა იმისა, რომ ცხოვრების თანმდევია, ის თანმდევია სპორტშიც. რა თქმა უნდა, არის ხოლმე მცირე სტრესი და ჭარბი ემოციები. სპორტსმენთა ნაწილი მუსიკას უსმენს, ნაწილი განცალკევებით იოგათი კავდება, ჩემს შემთხვევაში ესაა ლოცვა, მუსიკა ან, საერთოდაც, კამათი ვინმესთან, ვინაიდან სტრესის დროს მეტად „მოჩხუბარი“ ვხდები და ვინმეს თუ ვეჩხუბე ესეც მაინეიტრალებს (იღიმის).

-რამდენად შეგცვალა სხვადასხვა შეჯიბრებებზე მიღებულმა გამოცდილებამ?

როგორც უკვე აღვნიშნე, ყველა შეჯიბრი ჩემთვის ძალიან დიდი გამოცდილების მომცემია და არის გარდამტეხი მომენტები, როცა ხვდები, რომ მომავალში კიდევ უფრო გაგიადვილდება შეჯიბრება. ტურნირიდან ტურნირამდე ვიზრდები, ამას ვხედავ და ეს წინსვლა შედეგზეც ისახება, ამას საერთაშორისო კომენტატორებიც მოწმობენ.

-არსებობს თუ არა ადამიანი, რომელმაც შენი სპორტული კარიერის განმავლობაში განსაკუთრებულად დაგამახსოვრა თავი?

დიახ, გამოვარჩევდი ერთ თურქ სპორტსმენს, რომელიც ყოველთვის ისე მშვიდად გამოდის შეჯიბრზე, ისე დამაჯერებლად ფლობს და აკონტროლებს სიტუაციას, რომ დიდწილად სწორედ ასეთი მიდგომით იმარჯვებს. ერთმანეთს ვგულშემატკივრობთ კიდეც, ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელ „ინსტაგრამზეც“ მივულოცე წარმატება და შევაფასე. მან აღნიშნა, რომ ჩემი აზრი მისთვის მნიშვნელოვანია. მის მსგავსად, მეც მინდა მივაღწიო სამომავლოდ ისეთ სიმაღლეს, რომ შეჯიბრისას ყველა იმ ღირსებით წარვსდგე საზოგადოების წინაშე, რაც მაქვს. ეს ისე კარგად ჩანს გარედან, რომ ადვილად ამჩნევ.

-რას კარგავს ადამიანი, რომელიც ჯერ არ არის ტაეკვონდოთი დაკავებული და არ იცის მისი შესაძლებლობები? რა არის შენთვის ეს სპორტი?

ამ კითხვის პასუხი მისსავე დასახელებაშია, რომელიც ასე განისაზღვრება „ტაე“ - ფეხით დარტყმა, „კვონ“ - მუშტი, „დო“ - ხელოვნება, გზა. როდესაც სამოყვარულო ან უბრალოდ ჯანსაღი ცხოვრების წესს სცილდება შენი აქტივობა და ის ხდება შენი ცხოვრების „დო“ ანუ გზა, ეს ერთგვარი ხელოვნება ხდება, რომელსაც მარტივად ვერ მოწყდები და ვერ დათმობ. ეს არის საბრძოლო ხელოვნება, მაღალ რანგში აყვანილი, რომელსაც ასე კარგად თუ მოვერგებოდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ზოგადად, სკეპტიკურად ვუყურებდი სპორტს, თუმცა, ტაეკვონდოს შემოჭრამ თუ ჩემმა შეჭრამ მასში, დიდი გავლენა იქონია. ასე რომ, ვინც მიიჩნევს ჩემსავით, რომ სპორტი, და მით უფრო ტაეკვონდო, არც ისე საინტერესოა, ძალიან ცდებით, როგორც მე ვცდებოდი, ვინაიდან ჩემნაირი სკეპტიკოსის მენტალობაც კი სრულიად შეცვალა. ეს მახარებს. საბოლოოდ, ეს სპორტი ჩემთვის გზაა ცხოვრების ხელოვნებისა, რომელშიც აქტიურად დავრჩები ჩემი შესაძლებლობების ამოწურვამდე.

-როგორც ცნობილია, სპორტი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, რამდენად ახერხებ ბალანსის დაცვას საქმესა და დანარჩენ ცხოვრებას შორის?

სპორტსმენს აქვს რუტინა, რაც გარდაუვალი და აუცილებელია წარმატების მისაღწევად. მეც მაქვს ასეთი ყოველდღიური რეჟიმი. კვირის 7 დღიდან მინიმუმ 6 დღე ვარჯიში, ყოველ დილა. შემდეგ სამსახურში მივდივარ, დღის ბოლომდე. ეს ორი უმთავრესია და ამის შემდეგაც, პარალელურად ვახერხებ სხვადასხვა საქმის კეთებას. ჰოროსკოპით სასწორი ვარ და ვახერხებ ბალანსის დაცვას.

-რას ეუბნები მარტო დარჩენილი საკუთარ თავს?

საკუთარ თავს ბევრ რამეს ვეუბნები. სპორტსმენისთვის საკუთარ თავთან საუბარი აუცილებელია, ბევრი რამის გარკვევაში მეხმარება, ხშირად ვეკითხები თავს, როგორ შევძელი ის, რაც შევძელი და, როგორ მივაღწიე ამას?

-რა ხდება ახლა გიორგი ხიზანიშვილის სპორტულ ცხოვრებაში? რა გეგმები აქვს მას და რას უნდა ველოდოთ მისგან მომავალში?

ახლაც გრძელდება ინტენსიური ვარჯიშები. გარდა ამისა, იანვრიდან სპორტული შეკრება გველის, შემდეგ ევროპის ჩემპიონატი. უმთავრესი წელია ჩვენთვის 2024, რადგან პარიზის ოლიმპიადაა წინ. ამ თემასთან დაკავშირებით, გარკვეული კითხვები და გადასაჭრელი საკითხები არსებობს, ამიტომ სამომავლოდ დავტოვებ „ინტრიგას“ და დამატებით დეტალებს უკვე მოგვიანებით გაგიმხელთ.

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„2023 წელი შობადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური წარმოადგენს დედოფლისწყაროს მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების მუნიციპალური პროგრამების მართვას და მათ განხორციელებაზე კონტროლს .ტრადიციულად წლის შემაჯამებელ ანგარიშზე ვეწვიეთ აღნიშნულ სამსახურს, რომელსაც 2016 წლიდან ხელმძღვანელობს ქ-ნი დოდო ხუნაშვილი და წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ ურთულეს სამუშაოს.

დოდო ხუნაშვილი: „დიახ, მოგეხსენებათ, ჩვენი სამსახური ადმინისტრირებას უწევს ბევრ პროგრამას და ქვეპროგრამას, რომლებიც მოიცავენ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებს. პროგრამების ძირითადი ნაწილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ახალშობილების, შშმ პირების, მარტოხელა მშობლების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გარდაცვლილთა ოჯახების, მარჩენალდაკარგულების, უსახლკაროთა და სხვა განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა, როგორც სერვისების მიწოდების, ასევე ფულადი დახმარების გაცემის და კიდევ მრავალი სხვა მომსახურების დაფინანსებას ითვალისწინებს.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მუნიციპალური სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრებოდა 778,600 ლარით, რომელშიც ერთიანდება სათნოების სახლის დაფინასნებაც. იგი არის გამჭვირვალე და მოქნილი, გათვლილი მოსახლეობის საჭიროებებზე. პროგრამებით გათვალისწინებული ბენეფიტებით ყოველწლიურად საშუალოდ 1700 პირის ოჯახი სარგებლობს. “

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების დედოფლისწყაროს მუნიციპალური სამსახური სახელმწიფო პროგრამების განხორციელების პროცესში თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის დაწესებულებებთან ერთად კოორდინირებულად მუშაობს.როგორც ქ-ნმა დოდო ხუნაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მიმდინარე წელს მათ სიახლეები ჰქონდათ სხვადასხვა მიმართულებით. მერიის დაფინანსებით „სქილვილ აკადემიაში“, რომელიც IT ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობს, 14 ახალგაზრდა ჩაირიცხა, რაც მისასალმებელია. ეს არის მიმართულება, რომელსაც ასაკი არ გააჩნია და ყველა თაობის ადამიანს შეუძლია მონაწილეობა. მონაწილეები

სრულად შეძლებენ აღნიშნულ პროგრამაში გადამზადებას და ხელი შეეწყობა მათ დასაქმებას. სწორედ ახალგაზრდების დასაქმების მიზანს წარმოადგენდა მერიის ეს ინიციატივა-აცხადებს ჩვენთან საუბარში ქ-ნი დოდო. 2023 წლის ერთ-ერთ მთავარ სიახლეს წარმოადგენს მაისის თვიდან ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების დაარსება, რომელიც მოწყვლადი ოჯახების გაძლიერებასა და მათი ფუნქციონიერის გააქტიურებაზეა ფოკუსირებული. დაარსებიდან სულ რამოდენიმე თვის მანძილზე უკვე განხორციელდა 7 არასრულწლოვანთან და მათ ოჯახებთან მუშაობა. ჩატარდა მოკვლევები, შეფასდა რისკები და კომპეტენციის ფარგლებში ხორციელდება ოჯახებთან პრევენციული ხასიათის მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით, ხორციელდება მათზე მონიტორინგი მიღწეული შედეგების შენარჩუნების მიზნით.

წლის ანგარიშის შეფასებისას აღინიშნა, რომ დღეისთვის ყველა უსახლკარო ოჯახს ბინის ქირა ყოველთვიურად 100 ლარით უფინანსდება. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ონკოლოგიურ პაციენტს(განურჩევლად სოციალური სტატუსისა) სრულად უფინანსდება მკურნალობა, აგრეთვე სრულად ფინანსდება 0-დან 6 წლამდე ბავშვთა ნებისმიერი სამედიცინო მომსახურება. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მრავალშვილიანი ოჯახების(სადაც 4 ან მეტი არასრულწლოვანია) ერთჯერადი-50 ლარიანი დახმარება თითოეულზე წელიწადში. მოქმედებს 18 წლამდე ასაკის შშმპ რეაბილიტაცია-აბილიტაციის კურსის ჩასატარებლად სერვისის მიმწოდებელ ცენტრამდე გადაადგილების და ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფა. გაიცა ზამთრის სეზონის გათბობისთვის გამოყოფილი ერთჯერადი დახმარებები 100 ლარის ოდენობით გარკვეულ კატეგორიაზე. დღეისათვის 170 ჩვენი ბენეფიციარი იკვებება სათნოების სახლში. ბოლოს კი მინდა იმედიანად დავასრულო და ვთქვა, რომ გასულ წლებთან შედარებით შობადობის სტატიტიკა მზარდია, რის თქმის უფლებასაც ციფრები მაძლევს. 118 ახალშობილი გვყავს, რაც საკმაოდ მაღალი ციფრია წინა პანდემიურ წლებთან შედარებით.

მინდა ჩვენი სამსახურის სახელით დამდეგი 2024 წელი მივულოცო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის და სრულიად საქართველოს მოსახლეობას. მშვიდობა, ჯანმრთელობა, სიკეთე და სიხარული არ მოჰკლებოდეს ჩვენს ქვეყანას და ხალხს“.

წითელი ჯვარი ხალხის სამსახურში...

წლის შემაჯამებელ ანგარიშთან დაკავშირებით, რედაქცია ტრადიციულად **„წითელ ჯვარს“** ესტუმრა. შევხვდით სამსახურის უფროსს, გინეკოლოგ **ნათელა თამაზაშვილს, რომელიც წარმატებით უძღვება ადგილზე დაარსების დღიდან ამ ორგანიზაციას და მისგან** მოვისმინეთ წლის მიმდინარე აქტივობების შესახებ:

-მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ორგანიზაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში 2016 წლიდან აქტიურად ფუნქციონირებს . ამ წლების განმავლობაში ჩვენ უამრავი საქველმოქმედო ღონისძიება განვახორციელეთ არამხოლოდ გეგმიური აქციების ფარგლებში, არამედ მოსახლეობის მომართვიანობის მიხედვითაც, რაც გულისხმობს, როგორც ყოველწლიურად ათასობით მოქალაქის გასინჯვას სხვადასხვა პროფილის ექიმთა მიერ, ასევე განხორციელებულ საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ აქციებს.

ახლაც ტრადიციულად, მთელი წლის მანძილზე წითელი ჯვარი ემსახურებოდა ბენეფიციარებს-სოციალურად დაუცველებს, შშმპ-ს, მრავალშვილიან დედებს,მარჩენალდაკარგულებს და სპეც.საჭიროების მქონე პაციენტებს. ამ ჩამონათვალის ბენეფიციარებს , რა თქმა უნდა, უფასოდ ეძლეოდათ მომსახურება შემდეგი პროფილის ექიმებთან:კარდიოლოგთან, თერაპევტთან, ოფთალმოლოგთან, რადიოლოგთან(ექოსკოპისტი),გინეკოლოგთან და ანგიოლოგთან. 2023 წლის განმავლობაში სულ გასინჯულია დაახლოებით 1400 ბენეფიციარი. გარდა ამისა, ჩატარდა საქველმოქმედო აქციები თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენი ფილიალის მობილური გუნდი 2-2- ჯერ იმყოფებოდა მაღალმთიან აჭარაში, მაღალმთიან რაჭაში, ახალქალაქში, ახმეტაში, სამეგრელოში(ჩხოროწყუში),სენაკში, სადაც მოსახლეობის ყველა ფენას, განურჩევლად სოციალური სტატუსი-

სა, მოვემსახურეთ და სრული კვლევები ჩაუტარდათ მოთხოვნის შესაბამისად. გარდა ამისა, მთელი წლის მანძილზე ჩვენი სამსახური ჩართული იყო სხვადასხვა პროფესიული დღესასწაულების აღნიშვნასა და აქციებში,როგორებიცაა-ძუძუს კიბოს, დიაბეტის, ტუბერკულოზის, ხანდაზმულთა და წითელი ჯვრის მსოფლიო დღეები, ასევე საქართველოში წითელი ჯვრის 103 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. მაისში კულტურის სახლის ეზოში წითელი ჯვრის ორგანიზაციის და მეორე სკოლის პედაგოგის ნონა ტოკლიკიშვილის და მისი მოსწავლეების მიერ მოეწყო საქველმოქმედო აქცია „ფლეამარკეტი“, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრები იყო გამოფენილი, ხოლო დასასრულს შემოწირული თანხებით მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მოხუცებისთვის შეძენილ იქნა სასურსათო ამანათები. გარდა ამისა, წითელი ჯვრის სათაო ოფისმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გადასცა „ელსი ვაიკიკის“ პროდუქციაფეხსაცმელი, ტანსაცმელი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით გადაეცათ მათ მიერვე შერჩეულ მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებს: პენსიონერებს, მარტოხელა დედებს და ა. შ.

ასევე მინდა განვაცხადო, რომ სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევები მათი სურვილისა და მოთხოვნის შესაბამისად ჩვენი ბენეფიციარებისთვის, აგრეთვე, ვგეგმავთ, ჩვენს სოფლებში გასვლით სამედიცინო აქციებს, რომლებიც აუცილებლად უნდა მოხდეს სოფლების რწმუნებულების მოთხოვნისა და ოჯახის ექიმების ხელშეწყობითა და ორგანიზებით.

მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთის საშუალებით და დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო თითოეულ დედოფლისწყაროელს და სრულიად საქართველოს მოსახლეობას. დაე, მშვიდობის, სიკეთის, ხვავის და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს 2024 წელი ჩვენი ქვეყნისთვის.“

გვერდი მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

როგორი იყო 2023 წელი სკოლებისთვის?

„60% სტუდენტი გახდა, კვალიფიკაცია აიმაღლა 20-მა პედაგოგმა, 7 სკოლაში შენობის მშენებლობა, ან განახლება მიმდინარეობს“

განათლების სფეროსთვის 2023 გამოწვევებითა და სირთულეებით სავსე იყო. ამ წელს დაიწყო სკოლების ავტორიზაციის პროცესი და ასევე, წლობით გადადებული დირექტორების არჩევნები. ამას ისიც ემატება, რომ სკოლების უმრავლესობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო, რასაც სასწავლო პროცესის სხვა სასკოლო შენობებში გადატანა მოჰყვა. ეს კი დამატებით დისკომფორტთან აღმოჩნდა დაკავშირებული. გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს მაკა ჯანაშვილს ესაუბრა და წლის შეჯამება სთხოვა.

— ***ქალბატონო მაკა, მოდით შევაჯამოთ, როგორი იყო 2023 წელი დედოფლისწყაროს სკოლებისთვის?***

— მოგახსენებთ, რომ 2023 წელს განათლების სისტემის რეფორმირებაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. არსებული მიდგომებიდან გამომდინარე სჩანს, რომ ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. რაც შეეხება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებს, 2023 -2024 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან სწავლა-სწავლება სხვადასხვა აქტივობებით და მნიშვნელოვანი სიახლეებით წარიმართა.

— ***შეიძლება ითქვას, ჩვენს სკოლებში სამშენებლო ბუმია — წელს რა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და რა მიმდინარე პროექტებია დედოფლისწყაროს სკოლებში?***

— სწორად ბრძანეთ, მართლაც სამშენებლო ბუმია ჩვენს მუნიციპალიტეტში. სკოლებში თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, საქართველოს მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს გამართული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

დასასრულს უახლოვდება სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, აქტიურ ფაზაშია სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის მშენებლობა, ასევე აქტიურად მიმდინარეობს სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის რეაბილიტაცია. მიმიდინარეა ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მშენებლობა, 2024 წლიდან დაიწყება სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის დემონტაჟი და აშენდება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ახალი სკოლა. ზემო ქედის №1 საჯარო სკოლაში სულ მალე დაიწყება ახალი სკოლის მშენებლობა და ძველის დემონტაჟი. აქვე ავღნიშნავ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით რეაბილიტირდა სოფელ მირზაანის საჯარო სკოლა. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, თუ როგორ არის ჩართული ჩვენს სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად საქართველოს მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ადგილობრივი თვითმმართველობა.

— ***წელს სკოლების ავტონომიის ზრდისა და სხვადასხვა კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები დაიწყო. როგორ ხვდებიან ჩვენი სკოლები სამინისტროს ამ შეთავაზებებს, რამდენად არიან მზად საამისოდ და რა განწყობებია ჩვენს მუნიციპალიტეტში?***

— ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებები საჯარო და კერძო სკოლებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭებას გულისხმობს. ცვლილებები სწავლა-სწავლების დაგეგმვასა და წარმართვასთან დაკავშირებულ ყველა კომპონენტს შეეხო. შესაბამისად, მკაფიოდ გამოიკვეთა, თუ რას გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებული, სიღრმისეული სწავლა-სწავლება. ახლებურად ჩამოყალიბდა ეროვნული სასწავლო გეგმა. ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ყველა საჯარო და კერძო სკოლა აქტიურად ჩაება პროცესში, მათი მხრიდან მიღებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნებისმიერი გამოწვევა. თითოეული პედაგოგი მზაობას აცხადებს პროცესში ჩასართავად, რაც უფრო უფრო ხარისხიანს გახდის სასწავლო პროცესს.

— ***რომელ სკოლებს ემსახურება-სასკოლო ავტობუსები და იგეგმება თუ არა მათი რაოდენობის ზრდა?***

— 2023-2024 სასწავლო წელს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლების მხარდაჭერის ფარგლებში, განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოსწავლეებისთვის მოქმედებს ტრანსპორტირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების გადაადგილებას სახლიდან სკოლაში და პირიქით, რომელთა დაშორება 2 კმ და მეტია. ამჟამად ტრანსპორტი ემსახურება ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2, სოფელ სამრეკლოს, სოფელ არხილოსკალოს, სოფელ ქვემო ქედის, სოფელ არბოშიკის, სოფელ ზემო მაჩხაანის და სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლებს.

— ***რამდენი სკოლაა ინკლუზიურ სწავლებაში ჩართული და რამდენი სსსმ მოსწავლე გვყავს ამჟამად... რა იგეგმება სამომავლოდ?***

— ინკლუზიურ სწავლებაში ჩართულობა თანამედროვე სასწავლო სივრცის განუყოფელი ნაწილია. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ახერხებს ყველა ბავშვისთვის თანაბარი განათლების უზრუნველყოფას და თითოეული მოსწავლის უნარების გათვალისწინებას სასკოლო ცხოვრებაში. ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა სკოლა აქტიურადაა ჩართული ინკლუზიურ განათლების ხელმისაწვდომობაში. დღევანდელი მოცემულობით დედოფლისწყაროს მასშტაბით 75 სსსმ მოსწავლე სწავლობს.

თხუთმეტივე საჯარო სკოლაში. მოსწავლეს, რომელსაც გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ექმნება სირთულეები და სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში: კითხვა, წერა, ანგარიში,ინფორმაციის გადამუშავება, საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება, საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება, ქცევა, თანატოლებთან და პედაგოგებთან ურთიერთობა. ჩამოთვლილი მიზეზების გამო შესაძლოა მოსწავლე ვერ სძლევდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს და საჭიროებდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას .სკოლის კურსი და სტრატეგია, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში, ეფუძნება მათ სრულფასოვან მონაწილეობას სკოლის ცხოვრებასა და აქტივობებში. ეს მონაწილეობა კი მათი განვითარების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

— ***მანდატურის სამსახური რამდენ სკოლაში მუშაობს და რა გეგმებია ამ კუთხით?***

— მანდატური სკოლაში უსაფრთხო გარემოსთან დაზრუნვასთან არის დაკავშირებული. ეს სამსახური სკოლას სთავზობს კომპლექსურ სერვიზს ფსიქო-სოციალური თუ უსაფრთხოების კუთხით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქალაქ დედოფლისწყაროს N1 და N2 საჯარო სკოლას, ემსახურება. ბოლო ხანს მანდატურები შევიდნენ სოფელ ზემო მაჩხაანისა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლებში. მანდატური ეს ის სამსახურია, რომელთაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან ერთად, სკოლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი გარემოს შექმნა ევალება. აქვე დავამატებ, რომ იმ სკოლებში სადაც უშუალოდ არ არის ჩართული მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, სასკოლო დროს უსაფრთხოებასა დაწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირია განსაზღვრული, რომელთაც მანდატურის სამსხურის მიერ აქვთ გავლილი შესაბამისი სასწავლო ტრენინგი და სასწავლო წლის მიმდინარეობისას პასუხს აგებენ მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და სასკოლო გარემოში წესრიგის დაცვაზე.

— ***მთლიანობაში როგორია პედაგოგთა კომპეტენცია დედოფლისწყაროში, რა შეგიძლიათ თქვათ, საერთო ჯამში მათი სტატუსისა და კვალიფიკაციის შესახებ?***

— დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლაში სკოლის პერსონალი დაკომპლექტებულია 614 თანამშრომლით, მათგან 381 მასწავლებელია. მიმდინარე წელს კომპეტენცია აიმაღლა 20-მა პედაგოგმა. საზოგადოებას შევახსენებ, რომ მასწავლებლის სტატუსის სახეებია: უფროსი მასწავლებელი, წამყვანი მასწავლებელი. მენტორი მასწავლებელი. დღევანდელი მდგომარეობით, ჩვენს მუნიციპალიტეტში 4 მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებელი გვყავს, 56 წამყვანი მასწავლებელია, ხოლო დანარჩენი კი უფროსის და მაძიებელი მასწავლებლის (მაძიებელი მასწავლებელია პირი, რომელიც შეირჩევა სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, პირობით, რომ მაქსიმუმ 2 წლის ვადაში ჩააბარებს მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდას და გაივლის შესაბამის სასწავლო კურსს) სტატუსის მქონეა. ყოველივე ამ მონაცემის საფუძველზე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო სექტორს მასწავლებლების სახით ჰყავს ობიექტური, სამართლიანი, და რაც უმთავრესია პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებული პედაგოგები, რომლებიც ყველა მოსწავლისათვის სასურველი და მისაღებია.

— ***როგორი იყო წლევანდელი წელი ადგილობრივი აბიტურიენტებისთვის. კურსდამთავრებულთა რამდენი პროცენტი გახდა სტუდენტი?***

— წლევანდელი წელი აბიტურიენტებისთვის იყო წარმატებული, შედეგიანი, რაც გამოვლინდა იმ მიღწევებით და ქულათა მაჩვენებლებით რაც მათ აჩვენეს ეროვნულ გამოცდებზე. წელს სკოლა დაამთავრა 222 მოსწავლემ, მათგან 60% სტუდენტია.

— ***წინა წლებთან შედარებით მედალოსანთა ოდენობა რას გვიჩვენებს?***

— 2022-2023 სასწავლო წელს 38 მედალოსანი გვყავდა. წინა წელს კი 35 იყო მათი რიცხვი. რა თქმა უნდა 2023-2024 სასწავლო წელსაც მოლოდინი მაღალია, რადგან თამამად შემიძლია ავღნიშნო, რომ ჩვენი მოსწავლეების მხრიდან სწავლის მიმართ ინტერესი და მიდგომები მაღალია, რაც შესაბამისად აისახება მათი შეფასების შედეგებზე.

— ***წელს დაიწყო დირექტორების შესარჩევი კონკურსი და იანვარ-თებერვალში შემდეგი ეტაპი კიდევ გამოცხადდება. რა შეიცვალა 2023 წელს დირექტორების არჩევის კუთხით და რა მოლოდინია მომავალი წლისთვის?***

— 2023 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 7 სკოლაში იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორი არჩეული. დანარჩენ სკოლაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ბრძანებით განსაზღვრული დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი პირი. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი ამილახვარის განცხადებით, სკოლაში სკოლის დირექტორთა შესარჩევი ხელახალი კონკურსი უახლოეს მომავალში გამოცხადდება და მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნება ყველას, ვისაც სურვილი ექნება მონაწილეობა მიიღოს ჯანსაღ და ობიექტურ კონკურსში.

— ***ავტორიზაციის მნიშვნელოვანი პროცესი წელს დაიწყო, რომელიც პანდემიის გამო რამდენიმე წლით დაგვიანდა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ეტაპი სკოლებისთვის და რა ვითარებაა დედოფლისწყაროში, რას ველით მომავალი წლისთვის?***

— როგორც ცნობილია, 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა სკოლამ ავტორიზაცია უნდა გაიაროს. ავტორიზაცია გახლავთ საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა. ავტორიზაციისთვის საინტერესოა, რომ პროცესში ჩაერთოს არა მხოლოდ დირექტორი და ერთეული მასწავლებელი, არამედ მთლიანად სასკოლო საზოგადოება, რომელშიც შედის მშობელიც, მოსწავლეც, მასწავლებელიც და თემიც. 2023 წელს ავტორიზაცია მიენიჭა სოფელ გამარჯვების, პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელობის საჯარო სკოლას, ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლას და ქვემო ქედის საჯარო სკოლას. თუმცა 2024 წლიდან დანარჩენი სკოლებიც სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ ავტორიზაციის პროცესში ჩასართავად.

— ***მიმდინარე წელს რამდენმა ვერ შეძლო კომპეტენციის დადასტურება და რამდენმა დატოვა სკოლა?***

— მიმდინარე წელს სკოლა სტატუსის გამო არცერთ მასწავლებელს არ დაუტოვებია.

— ***ჯამში რამდენი მოსწავლეა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში?***

— დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 2667 მოსწავლეა.

მინდა თითოეულ მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს, მთელს საგანმანათლებლო სისტემას მივულოცო ახალი წელი. დაე, 2024 წელი ყოფილიყოს ახალი მიღწევების და წინსვლის მომტანი სრულიად საქართველოსათვის.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

კვლავ იმედიანად ვაგრძელებთ

ტურიზმი არის მრავალფეროვანი და ცართო სექტორი, ღირებულებათა ჯაჭვი, რომელიც მოიცავს წარმოებას, სტუმარმასპინძლობას, კვებას, განთავსებას, ტრანსპორტით მომსახურებას, ასევე აერთიანებს კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განზომილებებს.

2023 წლის ბოლოს დედოფლისწყაროს ტურიზმის მდგომარეობის შესაფასებლად დაცული ტერიტორიების საგენტოს მონაცემებით, ვიზიტორთა რაოდენობით 2023 წელი წინა წელზე უარესი იყო: თუ 2022 წელს ვაშლოვანის და ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 6810 ვიზიტორი, 2023 წელს ეს რიცხვი შემცირდა 6361-მდე. ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი კი რეაბილიტაციის გამო თითქმის ვერ ემსახურებოდა სტუმრებს. სტუმრების სპეციალურად მოწვევა ცოტა უხერხულიც იყო ქალაქის ქუჩებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების პირობებში.

2024 წლისთვის დედოფლისწყაროში ტურიზმს ნამდვილად ექნება ვიზიტორთა მასპინძლობისთვის მყარი საფუძვლები ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალური ქუჩების იერსახის გაუმჯობესების, ხორნაბუჯის ციხე-სიმაგრის გზის, კულტურისა და დასვენების პარკის კეთილმოწყობის მიმდინარე პროექტების, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის რეაბილიტაციის პერსპექტივების სახით.

ახლახან გამოქვეყნდა ტურიზმის ექსპერტთა მოსაზრებები და პროგნოზები 2024 წლის მსოფლიო ტურიზმის ტენდენციებზე: მომავალ წელს მსოფლიოში ტურიზმის ერთ-ერთი პოპულარული სახე იქნება თავგადასავლები ბუნებაში, მდგრადი ტურიზმი, ეკოტურიზმი, სოფლის ტურიზმის სხვადასხვა ფორმები, რის შეთავაზებაც სტუმრებისთვის შეუძლიათ ადგილობრივ ტურისტულ ბიზნესებს. სწორედ ამ მიმართულებებით 2021-2023 წლებში ჩვენმა ასოციაციამ ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციასთან ერთად განახორციელა პროექტი ტურისტული პროდუქტების/სერვისების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პროექტის დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროში უკვე გვყავს „კარგი მასპინძლის“ ხარისხის სერტიფიკატის მფლობელი 16 ტურისტული ბიზნესი. მათ შეუძლიათ სტუმრებისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მომსახურების შეთავაზება.

დედოფლისწყაროში ტურიზმის და ზოგადად, ბიზნესის, მათ შორის, აგრარული სექტორის განვითარებას ძალიან დაეხმარება **UNESCO**-ს გადაწყვეტილება დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის შესახებ. იმედია, მომავალ წელს ამ რეზერვატის მენეჯმენტის ორგანო ადგილობრივ აგრარულ და ტურისტულ ბიზნესებთან აქტიური თანამშრომლობით შეიმუშავებს რეზერვატის მენეჯმენტის გეგმას.

ეკოტურიზმის უკეთესად განვითარების უდიდესი პერსპექტივებია ვაშლოვანის ეროვნულ პარკსა და ჭაჭუნას აღკვეთილში, მაგრამ მოსაწესრიგებელია ამ ობიექტებისკენ მიმავალი საერთო სარგებლობის სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, მობილური კავშირგაბმულობის პრობლემაც მოსაგვარებელია. ვფიქრობთ, დაცული ტერიტორიების სააგენტო იზრუნებს ასევე რეინჯერთა სადგურებში არსებული სანიტარული კვანძების (წყალი, ტუალეტები) მოწესრიგებაზეც.

ეკოტურიზმის სტიმულირებას მოახდენს ასევე ტყის რესურსების მდგრადი მართვის პროგრამაც.

ეკოტურიზმისთვის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტია ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსი - ქოჩების ტბაც, რომლის დაშრობის მიზეზებიც საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მისი დაშრობის ანალოგიის გამოყენება არ არის საკმარისი არგუმენტი ამ სამკურნალო ტბის რესურსების გამოუყენებლობისათვის.

განვლილი წელი ნაყოფიერი იყო ჩვენი ასოციაციის განვითარება-გაძლიერების კუთხითაც. ჩვენი წევრები და ადგილობრივი ბიზნესები ესტონეთში სოფლის ტურიზმის ობიექტებში სტუმრობისას ადგილზე გაეცნენ ევროპელი მეგობრების გამოცდილებას და ბევრი საინტერსო იდეით დაბრუნდნენ.

თანამედროვე სოფლის ტურიზმი ისეთი ბიზნესია, რომ წინდების მქსოველი დიასახლისი, გემრიელი საკვების დამზადების ოსტატი ქალბატონი, სოფელში მცხოვრები მეფუტკრე თუ ქათმის მცირე საოჯახო ფერმა, ხილის თუ ყვავილების კარგი ბაღი, სწორი „შეფუთვით“ და მარკეტინგით შეიძლება გახდეს წარმატებული ტურისტული ობიექტი. ამის შანსი დღეს დედოფლისწყაროში ბევრ ადამიანს აქვს: მცირე ფერმერებს, საოჯახო მარნებს, თონეებს, თუნდაც ერთი კერძის კარგ კულინარებს, ხელნაკეთი ნივთების მწარმოებელ პირებს, კარგ ფოტოგრაფებს, უცხო ენის მცოდნე ახალგაზრდებს და სხვა.

იმედით ვუყურებთ რაიონის ტურიზმის მომავალს, ვფიქრობთ, მომავალ წელს გაგრძელდება რაიონის სხვადასხვა ობიექტის კეთილმოწყობის სამუშაოები. გვექნება ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო და მხარეთმცოდნეობის მუზეუმების თანამედროვედ მოწყობილი საგამოფენო დარბაზები უნიკალური ექსპონატებით, ქალაქის ცენტრში და ტურისტულ ატრაქციებზე კეთილმოწყობილი და მოვლილი საზოგადოებრივი ტუალეტები, ელიას მონასტრის სუფთა და მოწესრიგებული ეზო, რაც გაზრდის მონასტრის და ტაძრის შემოსავალს, და სხვა ახალი ობიექტები ვიზიტორების მოსაზიდად.

და ბოლოს, მინდა ყველა დედოფლისწყაროელს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი, ოპტიმიზმით სავსე წელიწადი და ახალი ბიზნეს-იდეების განხორციელება ვუსურვო!

მანანა ყატაშვილი
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის თავმჯდომარე

როგორ აფასებენ 2023 წელს ტურიზმში ჩართული ადამიანები

ნინო სეთურიძე ***(ვაშლოვანის ადმინისტრაციის თანამშრომელი):*** „ტურისტული კუთხით 2023 წელი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული თვალსაზრისითშემიძლია დადებითად შევაფასო. წლის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს 5804 ვიზიტორი სტუმრობდა. შარშანდელთან შედარებით გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა. სხვათა შორის, **წელს, გვყავდა ტურისტები, რომლებმაც საშუალოდ ერთი კვირა გაატარეს ვაშლოვანსა და დედოფლისწყაროში. წინა წლებში დაცულ ტერიტორიებსა და მის მიმდებარედ ტურისტებისა თუ ადგილობრივი ვიზიტორების მიერ გატარებული დღეების ხანგრძლივობა საშუალოდ 2 დღე იყო.** წელს განსხვავებული სურათი გვაქვს. უფრო მეტი ხნით რჩებიან ჩვენს მუნიციპალიტეტში. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისად უფრო მეტჯერ ისარგებლეს ადგილობრივი სერვისებით. ეს არის ღამისთევის საშუალებები, კვების ობიექტები და ა.შ. იმედი მაქვს, ეს ტენდენცია შენარჩუნდება. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებისთვის მნიშვნელოვანია ეკომეგობრული ვიზიტორები და არა მასიური ტურიზმი.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ **წლიდან წლმდე მატულობს ტურისტული სერვისების მიმწოდებელთა რიცხვი დედოფლისწყაროში და მის მიმდებარედ.** ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერება იზრდება და უფრო მეტი ადამიანი აფასებს იმ უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას, რაც გარშემო გვაქვს. ასევე, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა, ეკოტურისტული პოტენციალის დანახვა და ამ შესაძლებლობების სწორად გამოყენება შეძლო. დაული ტერიტორიების დაარსების ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ესაა: ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ეკოტურისტულ სერვისებში და მათი შესაძლებლობების გაძლიერება. აი, სწორედ ამ შემთხვევაში ყალიბდება მეგობრული დამოკიდებულება ადგილობრივსა და დაცულ ტერიტორიას შორის. ეს ფაქტი კი ძალიან მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სხვადასხვა კონსერვაციული პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ძალიან მეგობრულია და ნაყოფიერად თანამშრომლობს ადგილობრივ, ტურისტულ ბიზნესში ჩართულ მოსახლეობასთან. ზოგჯერ ფორმალური გზით ვაძლევთ რჩევებს, ვუზიარებთ ტურისტების მოთხოვნებს და ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობებზე ვესაუბრებით.

ის ფაქტი, რომ დედოფლისწყარო უკვე მნიშვნელოვან და დამსახურებულ ადგილს იკავებს საქართველოს ტურისტულ რუკაზე, ძალიან სასიხარულოა, მაგრამ მეტ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს თითოეულ ჩვენგანს. ყველა ვამაყობთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების უნიკალურობით, დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატით, (რომელიც პირველია საქართველოში), ჩვენი მუნიციპალიტეტის საინტერესო წარსულით, ისტორიული ძეგლებით, უზარმაზარი ტურისტული პოტენციალით, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ კიდევ არ გვაქვს შესაფერისი გამოცდილება და ვიზიტორის საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა. ძირითადად საზოგადოებრივ ტუალეტებს ვგულისხმობ, გამოცდილებაში - მიწოდებული სერვისის ხარისხს. ვისურვებდი, ან თუნდაც სერვისების მიმწოდებლებმა ჩემგან რეკომენდაციად მიიღონ, რომ ყურადღება გაამახვილონ ღიმილზე, სისუფთავეზე, ესთეტიკაზე, კრეატიულობაზე. მეზობელმა თუ სასტუმრო ააშენა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგივე დააკოპირო, შეგიძლია სხვა მომსახურება მოიფიქრო. როდესაც წამოიწყებთ რაიმე საქმეს, აუცილებლად დაფიქრდით, რამდენად ადექვატურია თქვენი გამოცდილება და შესაძლებლობები. აქცენტი გავაკეთოთ არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე. მე მინახავს და მისაუბრია ჩვენი უნიკალური ბუნებითა და საინტერესო ავთენტურობით აღფრთოვანებულ ტურისტებთან, მაგრამ ასევე მომისმენია მიწოდებული სერვისის დაბალი ხარისხით იმედგაცრუებული ვიზიტორებისთვისაც. თუმცა, დარწმუნებული ვარ და იმედი მაქვს, რომ საღი მიდგომებით მარტივად ვუპასუხებთ ყველა გამოწვევას.

გილოცავთ 2024 წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ერთმანეთის სიყვარულს, პატივისცემას, მეტ კრეატიულობას საქმეში და საკუთარი შესაძლებლობების რწმენას. ნამდვილად უნიკალურ გარემოში ვცხოვრობთ, უბრალოდ გაფრთხილება და შენარჩუნება უნდა მას“.

თეონა სეხნიაშვილი („თეოს კოტეჯების“ დამფუძნებელი): „2023 წელი შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ ტურიზმის განვითარების კუთხით, რადგან აშკარაა, რომ ყოველწლიურად მატულობს ვიზიტორების რაოდენობა. პანდემიის დასრულების შემდგომ ეს ზრდა თვალშისაცემია. ***2022 წლთან შედარებით ვიზიტორების რაოდენობამ იმატა. ძირითადად გვსტუმრობენ ევროპიდან, „თეოს კოტეჯების“ მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ტურისტების დაახლოებით 50 პროცენტი მოდის გერმანიასა და ნიდერლანდებზე, ასევე ბევრი ვიზიტორია საფრანგეთიდან, ბელგიიდან, პოლონეთიდან.*** ჩანაწერებს მუდმივად ვაწარმოებთ და გვაქვს თითოეული სტუმრის შესახებ უნიკალურო ინფორმაცია, მათი სტუმრობის თავისებურებების, საჭიროებისა და მოთხოვნების შესახებ, მაგრამ ამის ციფრებში გადმოცემა რთულია. ვფიქრობ, დედოფლისწყაროს აქვს დიდი ტურისტული პოტენციალი, რასაც ადასტურებს ყოველწლიურად ვიზიტორთა სიმრავლე და საერთო რიცხვის მუდმივი მატება. რაც შეეხება მთლიანად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს, აშკარაა, რომ ყოველწლიურად უმჯობესდება ინფრასტრუქტურა, მომსახურების პირობები, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი, გამოსასწორებელი და მოსაწესრიგებელი დედოფლისწყაროს სტუმრებისთვის საუკეთესო სერვისის შესათავაზებლად.“

ნინო იაკობიშვილი („ვილაჯიოს“ მენეჯერი): „2023 წელი “ვილაჯიოსთვის “ საკმაოდ ნაყოფიერი და პროდუქტიული წელი იყო, ჩვენი კომპლექსი ამ ერთი წლის განმავლობაში გაფართოვდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა. დავამატეთ დახურული ტიპის აუზები, ღია ბარი წყალზე, სასტუმროს ტიპის 15 ნომერი და საკონფერენციო დარბაზი. 2024 წლიდან შევძლებთ უფრო მეტი სტუმრის მიღებას და გამასპინძლებას. გასულ წელთან შედარებით დამსვენებელთა რაოდენობის მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა. ეს ეხება როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ დამსვენებელს. “ვილაჯიო მირზაანი რეზორტი” უცხოელ დამსვენებლებს ყველა სეზონზე მასპინძლობს. ჩვენთან ძირითადად მოდიან არაბები, უკრაინელები, გერმანელები, ინდოელები, ჩინელები. კონკრეტულ ციფრებს ვერ დავასახელებთ, თუმცა ჩვენი სტატისტიკით ვილაჯიოს ცნობადობა დღითიდღე იზრდება, რაც აისახება დამსვენებელთა საერთო რაოდენობაზე.

აუზი ძირითადად უფრო ზაფხულში იყო დატვირთული, თუმცა რადგან დახურული თერმო ტიპისაა, ცივ ამინდებშიც გვყავს მომხმარებელი, როგორც სასტუმროს დამსვენებელი, ისე რაიონში მცხოვრები ადგილობრივები. რაც შეეხება რესტორნისა და სასტუმროს დატვირთვას, ისინი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მაგალითად, კოტეჯში ჩამოსული სტუმარი აუცილებლად იყენებს ჩვენი კვების ობიეტს და პირიქით, მომხმარებელი რომელიც უკვეთავს ივენთს ჩვენს რესტორანში ,ხშირად ჯავშნის კოტეჯებსაც სტუმრების განთავსებისთვის. დედოფლისწყაროში არის ტურისტული ობექტები, საოჯახო სასტუმროები, მარნები. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენს რაიონს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი ტურიზმის განვითარებისთვის და ვფიქრობთ, ერთმანეთთან თანამშრომლობით ამ საქმეს ხელს შევუწყობთ და წინ წავიყვანთ.

დედოფლისწყაროს მერიის მიერ გზის გაყვანა რა თქმა უნდა დადებითად აისახება ჩვენს სამომავლო განვითარებაზე, რადგან აქამდე იყო უკმაყოფილება დამსვენებლების მხრიდან დაზიანებულ გზასთან დაკავშირებით. ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა ჩვენამდე მოსასვლელად. ამას გარდა, ზიანდებოდა ავტომობილებიც. აღდგენითი სამუშაოების განხორციელების შემდგომ კი დამსვენებლებს შეუძლიათ უმოკლეს დროში მოვიდნენ ჩვენამდე კარგი და კომფორტული გზით. აღარც უამინდობის შეგვეშინდება. რაც შეეხება წყალს, ჩვენ გვაქვს ჭაბურღილი და 212 მეტრის სიღრმიდან ვიღებთ საჭირო რაოდენობის წყალს, რაც სრულიად საკმარისია ჩვენი კომპლექსის ფუნქციონირებისთვის. სოფელ მირზაანში წყალი არის, თუმცა 25 ნომრიანი სასტუმროსთვის, ორი რესტორნისთვის და აუზებისთვის საკმარისი არ იყო, აქედან გამომდინარე, გავაკეთეთ საკუთარი ჭაბურღილი“.

ილია მარტყოფლიშვილი

წლის ტრაგიკული ამბების ქრონიკა

კიდევ ერთი წელი მიილია. დადებით მოვლენებთან ერთად ამ წელს ტრაგიკული მოვლენებიც ახლდა. გთავაზობთ გაზეთ „შირაქის“ არქივში დაცულ 2023 წლის მძიმე ამბების ქრონიკას, რითაც ამ წელმა თავი დაგვამახსოვრა.

○ ბოტულიზმის შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა სოფელ სამთაწყაროში. ოჯახურ პირობებში მომზადებული კიტრის მწნილით ცოლქმარი დაინფიცირდა. დიასამიძეების ოჯახში კვებითი ინტოქსიკაციის შემდეგ 66 წლის მამაკაცმა დედოფლისწყაროს საავადმყოფოს დროულად მიაკითხა და სამედიცინო დახმარება მიიღო, ქალმა კი არა — რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. დაგვიანებული მკურნალობის შედეგად 65 წლის დიასახლისი გარდაიცვალა. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ქალი სახლიდან უკვე მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანა.

○ 6 მარტს უკრაინაში რუსეთის ომს შეეწირა 23 წლის ვანო (ილია) ჩოხელი, რომელიც ზემო ქედში გაიზარდა, ის წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში რუსულ აგრესიას ებრძოდა. ხარკოვში დაიბადა, თუმცა დედის გარდაცვალების შემდეგ ზემო ქედში მამის ოჯახში ჩამოიყვანეს და 14 წლამდე აქ იზრდებოდა, ზემო ქედის სკოლაში სწავლობდა. შემდეგ უკრაინაში დაბრუნდა და სამხედრო განათლება მიიღო.

○ 27 მარტს ავტოსაგზაო შემთვევა მსხვერპლით დასრულდა სოფელ ხორნაბუჯში, ცენტრალურ მაგისტრალზე. გვიან ღამით მერსედესის მარკის ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ბოძს და მესერს შეეჯახა. 33 წლის მძღოლი ი.ტ. ადგილზე გარდაიცვალა.

○ 17 მაისს ზემო მაჩხაანში მცხოვრები 20 წლის **გიორგი ალხანიშვილი,** რომელიც სტუმრად დედასთან ბათუმში იმყოფებოდა, ყოფილმა პარალელურმა კლასელმა მოკლა და გვამი ტყეში დამარხა. ცხედარი 10 დღის შემდეგ იპოვეს. გიორგი დაწყებით კლასებში ბათუმის სკოლაში დადიოდა, შემდეგ ზემო მაჩხაანის სკოლაში გადმოვიდა. ამჯერად ის დედასთან სტუმრად ბათუმში იყო, რა დროსაც ყოფილ თანაკლასელებს შეხვდა და ქობულეთში საქეიფოდ წავიდნენ. ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი ლონდონიდან ორი დღის ჩამოსული იყო და რამდენიმე დღეში ისევ უკან ბრუნდებოდა, ამიტომ პაპის ოჯახში სუფრა გაიშალა. გიორგი იქ არავის იცნობდა, ახლო ურთიერთობა არც მასპინძელთან ჰქონდა, თუმცა მაინც წაჰყვა. გვიან ღამით შელაპარაკება მოხდა, რა დროსაც მასპინძელმა ყოფილი თანაკლასელი მოკლა. სუფრის წევრები ჩვენებაში წერენ, რომ გიორგი სადღეგრძელოებს შორის უხეშობდა, ერთერთ ბიჭს კი საყურესთან დაკავშირებით შენიშვნა მისცა. ვითარება რამდენჯერმე ჩაცხრა, მაგრამ შემდეგ დაპირისპირება ეზოში გაგრძელდა. უფროსებს უკვე ეძინათ, ახალგაზრდებმა გვამი გამთენიისას მანქანით მეზობელ სოფელში ტყეში დამარხეს. დილით კი მოკლულის დედას უთხრეს, რომ ბიჭი წითელი ტაქსით ბათუმში გამოაცილეს და აღარ უნახავთ. პოლიციაში შეტყობინება სამი დღის შემდეგ შევიდა, ამიტომ მთავარმა დამნაშავემ სარფის საბაჟოს გავლით თურქეთში გადასვლა მოასწრო, შემდეგ კი ისევ დიდ ბრიტანეთში დაბრუნდა. ცხედარი პოლიციამ სუფრის დანარჩენი წევრების მითითების შემდეგ ათი დღის შემდეგ იპოვა. მალევე დააკავეს სამი ახალგაზრდა, რომლებსაც დანაშაულის დაფარვა და შეუტყობინებლობა წაუყენეს ბრალად. კიდევ რამდენიმე დღეში დააკავეს ბაჟუნაიშვილის მამა. როგორც გაირკვა, ცხედრის ჩაბეტონებას სწორედ მამამისი გეგმავდა და დანარჩენ მონაწილეებსაც ის აიძულებდა სიმართლე დაემალათ და ოჯახისთვის კვალი აერიათ. სულ მალე იგივე ბრალდებით დააკავეს გაპარული დამნაშავის ორი ბიძა, რომელთაგან ერთი სასულიერო პირია. რამდენიმე თვეში ვესტმინსტერში სკოტლანდ იარდმა ალექსანდრე ბაჟუნაიშვილი ბრიტანეთში დააკავა, ის ამ დრომდე საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფება და საქართველოსთვის გადმოცემას ელოდება. ბათუმის სასამართლო კი პროცესის განხილვას განაგრძობს. ბათუმში კი 5 პირია დაკავებული, სამი ახალგაზრდა და ასევე ძმები ბაჟუნაიშვილები. ყველა დაკავებულს დანაშაულის დაფარვას ედავებიან, თუმცა მოკლულის დედა მარინა მაძღარაშვილი შირაქს ეუბნება, რომ ვინაიდან სხეულზე 18 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, მკვლელობა ჯგუფურადაა ჩადენილი, ამდენად თანამონაწილეები არა მხოლოდ დანაშაულის დაფარვისთვის უნდა გასამართლდნენ, არამედ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის.

○ 20 აგვისტოს ხანძარმა სოფელ ოზაანში ბოსტოღანაშვილების საცხოვრებელი სახლი დააზიანა. ხანძრისა და ბუნებრივი აირის გაჟონვით გამოწვეული აფეთქების შემთხვევები დაფიქსირდა სოფელ ზემო მაჩხაანსა და ქალაქ დედოფლისწყაროშიც. **24 ნოემბერს** კი ხანძარი გაჩნდა ზემო მაჩხაანში. 83 წლის **ნუნუ ყოჩიაშვილი** ცენტრალურ გზაზე მარტო ცხოვრობს. ამდენად, აივანზე მდგომმა მოხუცმა ვერ შენიშნა, როგორ გაჩნდა სახლში ცეცხლი. შედეგად საცხოვრებელი სახლი და იქ არსებული ქონება განადგურდა.

○ 29 ნოემბერს კი ქალაქ დედოფლისწყაროში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე შეითნიშვილების ორსართულიან სახლში დილით ნათურის ანთებას აფეთქება მოჰყვა. დაზარალებულები ვარაუდობენ, რომ აფეთქება ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად დაგროვილმა გაზმა გამოიწვია. სახლში 86 წლის ქალი მარტო ცხოვრობდა. ის დილით აბაზანაში შევიდა, ნათურა აანთო და აფეთქება მოხდა. შედეგად მეორე სართულის კედლები, ჭერი დაიბზარა, დაზიანდა საყოფაცხოვრებო ნივთებიც. ადგილზე მუშაობდნენ სპეციალისტებიც, რომლებიც ამბობენ, რომ სახლი საცხოვრებლად უვარგისია და მისი დემონტაჟის აუცილებლობა დგას. აფეთქების შედეგად მოხუცს დაზიანებები არ მიუღია. ის აბაზანის კედელმა დაიცვა. ქალი დაბლა იმყოფებოდა, აირი კი მეორე სართულზე დაგროვდა, ამდენად ძირითადად ზედა სართული დაზიანდა.

○ ოქტომბრის თვე გახშირებული უბედური შემთხვევებით გამოირჩეოდა. 10 ოქტომბერს ქ. დედოფლისწყაროში სატელევიზიო ანძის გორასთან მდებარე მყარი ნარჩენების კომპანიის ნაგავზაყრელზე ამავე კომპანიის ტრაქტორისტი მოულოდნელად ტრაქტორიდან გადმოვარდა, ადგომა ვერ შეძლო და მძიმე ტექნიკამ ზედ გადაუარა. როგორც თვითმხილველები ჟურნალისტებთან განმარტავდნენ, ტრაქტორის მუხლუხომ ნაგვის ნარჩენები მიიკრა, კაცი კი მის გასუფთავებას კაბინიდან მავთულით ცდილობდა. როგორც ჩანს, მავთული ჩაიხვია, ხელი ვერ გაუშვა და გადმოვარდა. სოფელ სამრეკლოში მცხოვრები შუა ხნის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. ის პოპულარული სატელევიზიო პროექტ „ნიჭიერის“ გამარჯვებულის, დავით ლეკაშვილის მამაა.

○ 13 ოქტომბერს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დედოფლისწყაროელი მამაკაცი გარდაიცვალა დედოფლისწყარო-სიღნაღის გზაზე. იმავე დღეს, ქალაქ დედოფლისწყაროში ნავთობკომპანია „ფრონტერას“ ელექტრიკოსი ბოძიდან ჩამოვარდა, 65 წლის კაცი ჯერ ადგილობრივ კლინიკაში მოათავსეს, მეორე დღეს გაწერეს, დაშავებული ორი დღის შემდეგ ოჯახმა გურჯაანში კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე გადაიყვანა, სადაც გაირკვა, რომ მოტეხილი იყო 5 ნეკნი და პლევრში დიდი რაოდენობის სითხე, ასევე ჰემატომები აღენიშნებოდა. მესამე დღეს თბილისში გადაიყვანეს, თუმცა ვითარება დამძიმდა და მამაკაცი ჩამოვარდნიდან ერთი კვირის თავზე, 20 ოქტომბერს თბილისის კლინიკაში გარდაიცვალა.

○ 29 ოქტომბერს უმძიმესი ტრაგედია დატრიალდა სოფელ არხილოსკალოში, სადაც უბედურ შემთხვევას სოფელ სამრეკლოში მცხოვრები 3 წლის ბიჭის სიცოცხლე შეეწირა. კვირა დღეს, ოქტომბრისთვის უჩვეულოდ თბილი, მზიანი ამინდი იყო, მრავალშვილიანმა ოჯახმა მეზობელ სოფელში გასეირნება გადაწყვიტა. დედამ შვილები არხილოსკალოს ახლადაშენებულტაძართან მიიყვანა, მოილოცეს და იქვე, გვერდით ბორცვზე მდებარე მემორიალთან გადაინაცვლეს. ვეფხის და მოყმის ძეგლის კვარცხლბეკიდან მოულოდნელად ბეტონის ფილა გადმოვარდა და მცირეწლოვან ბავშვს დაეცა. ტელევიზიებით ითქვა, რომ ძეგლი ჩამოიშალა, სინამდვილეში მონუმენტიდან არაფერი ჩამოშლილა. გადმოვარდა ფილა, რომელიც დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე ქანდაკების ძირზე იდო. სავარაუდოდ, ახლოს მდგომ ბიჭს შემთხვევით დაეცა, რის შედეგადაც სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმები მიიღო. შემთვევამდე ორი თვით ადრე ბეტონის ეს ნაწილი მოტეხილი არ იყო და მყარად გამოიყურებოდა, ამ დროს გადაღებულ ფოტოებში კი ჩანს, რომ ფილა მორყეულია. ოჯახის ახლობლები შირაქს ეუბნებიან, რომ ბიჭი არსად ასულა, დაბლა იდგა და ბეტონის ფრაგმენტს არც დანარჩენი ბავშვები შეხებიან. გარდაცვლილი ოჯახის მეხუთე, ნაბოლარა შვილია. სასწრაფო დახმარების სამსახურში მუშაობს ბიჭის დედაც, რომელიც დაშავებული შვილისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას თავად ცდილობდა. თუმცა, სასწრაფოს ექიმებმა ბავშვის გარდაცვალება კლინიკაში გადაყვანამდე დააფიქსირეს.

ილია მარტყოფლიშვილი

არასამთავრობო სექტორმა წელი შეაჯამა

/დასაწყისი გვ.3/

„გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა (PASS)“ ფარგლებში, ა(ა)იპ „მედია ცენტრი კახეთი“ - თან თანამშრომლობით მოხდა გრანტის მიმღები პირების „პროფესიული უნარების განვითარება და სწავლება - სწავლა პრაქტიკით“. 500 ლარიანი ვაუჩერებით დედოფლისწყაროდან პროფესიული უნარები განივითარა 10-მდე ქალმა, საოფისე საქმის სწავლებას „ლაგიდან“ მენტორობა გაუწია ჟუჟუნა ყანჩაშვილმა, კულინარიის საქმის სწავლებას - ინდმეწარმემ თათია ბენაშვილმა. ორთვიანი კურსების დასრულების შემდეგ ბენეფიციარებმა მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები, რაც დაეხმარება მათ დასაქმებასა და შემოსავლების გაზრდაში.

2023 წელს სექტორული ჩართულობით მომზადდა მდგრადი განვითარების მიზნების დედოფლისწყაროს მუნიციპალური დოკუმენტი, ასევე, ევროკავშირის პროექტის „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში (DGG)“ ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, მომზადდა „2024-2027 წლების დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი“, რომლის მომზადებაშიც მეთოდურ მხარდაჭერას ახორციელებდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP) და საკონსულტაციო კომპანია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი (PMCG).

საკმაოდ წარმატებული იყო ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდების თანამშრომლობა ევროპის ფონდთან. „ახალგაზრდული იდეის“ პროგრამის ფარგლებში მათი ინიციატივით ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა.

დენი გაიაფდა

სემეკის ცნობით, საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფი 3 თეთრით შემცირდა. ცვლილება როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე, არასაყოფაცხოვრებო აბონენტებსაც შეეხებათ. ახალი ტარიფი ძალაში 2024 წლის 1-ლი იანვრიდან შედის და 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იმოქმედებს. „ელექტროენერგიის ტარიფების შემცირებაზე გავლენა იქონია ჰიდროელექტროსადგურ ენგურჰესის რეაბილიტაციის შედეგად იაფიანი ელექტროენერგიის წილის ზრდამ ელექტროენერგიის შესყიდვის მთლიან კალათაში, მაღალი ჰიდროლოგიის მაჩვენებლებმა და ასევე, 2022-2023 წლების ზამთრის პერიოდში თბოსადგურების საშუალებით გამომუშავებული იაფიანი ელექტროენერგიით იმპორტირებული ენერგიის ჩანაცვლებამ". — წერია სემეკის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



შვილები: მარინა და თამაზ სინჯიაშვილები, რძალი: ვესტა მინაძე, სიძე: გიორგი მკერვალიძე, შვილიშვილები: დავითი, ლევანი და ლექსო სინჯიაშვილები, რძლები: ქეთი ღვინიაშვილი, ნატო ციხელაშვილი და რუსუდან ნატროშვილი, შვილთაშვილები: ნიკოლოზი, სალომე, დავითი, მარიამი იუწყებიან

მერი თარაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 30 დეკემბერს, დედოფლისწყაროში.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დედოფლისწყაროს ორგანიზაცია და დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე

მერი თარაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

რას გვიქადის დრაკონის წელი?

იუპიტერი ზოდიაქოს მთელი წრის გავლას დაახლოებით 12 წელი ანდომებს. ხოლო თითოეულ ნიშანში დაახლოებით ერთ წელს ატარებს. 2024 წლის 26 მაისამდე იუპიტერი კუროში მოძრაობს და ზოდიაქოს ყველა მიწის სტიქიის წარმომადგენლისთვის წარმატებული პერიოდია. 26 მაისიდან კი დიდი ბედნიერების პლანეტა ტყუპის ნიშანში გადავა 2025 წლის 9 ივნისამდე.

იუპიტერის ტრანზიტი ზოდიაქოს ნიშნებში გვიჩვენებს, თუ ვის ექნება ყველაზე მეტი იღბალი 2024 წელს. ასტროლოგიაში იუპიტერი დიდი ბედნიერების პლანეტაა. რომელიც აძლევს ადამიანებს სიხარულს, კმაყოფილებას, მატერიალურ კეთილდღეობას, მხარდაჭერას და დაცვას, წარმატებებსა და იღბალს.

2024 წლის ელემენტია ხე, რომელიც ნაყოფიერების სიმბოლოა. თუ სწორ ნაბიჯებს გადავდგამთ, თითოეული ჩვენგანი შეძლებს წინსვლას და განვითარებას. მწვანე არის სიცოცხლის ფერი, განახლების სიმბოლო. აღმოსავლურ კულტურაში ეს ნიშნავს სიმშვიდეს, მოქნილობას და გარემოებებთან ადაპტაციის უნარს თქვენს სასარგებლოდ.

დრაკონის წელში დაბადებულ ადამიანებს - ისევე როგორც მათ, ვინც 2024 წელს გახდება 12, 24, 36, 48, 60 და 72 წლის - აქვთ ძლიერი პირადი ენერგია, რომლის გამოყენებით მათ შეუძლიათ რადიკალურად შეცვალონ სამყარო. ამავდროულად, მათი გავლენა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი – უბრალოდ გახსოვდეთ, რომ ხალხურმა მითოსმა, წლის მბრძანებლის ნათესავებს ცეცხლის სუნთქვის უნარი მიანიჭა, ამიტომ მათთან ურთიერთობისას ფრთხილად უნდა იყოთ.

ამავე დროს, ისინი ჭკვიანები და მახვილგონივრული არიან, ამიტომ მეგობრების ნაკლებობა არ აქვთ - ყველას სურს ასეთ საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა. დრაკონს არ შეიძლება ეწოდოს შრომისმოყვარე - ოდნავი შესაძლებლობის შემთხვევაში, ის სიამოვნებით გადაიტანს თავის პასუხისმგებლობებს სხვაზე, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ იმუშაონ, საჭიროების შემთხვევაში, ასი პროცენტით გასცენ. ამ ნიშნის წარმომადგენლები ასევე ცნობილია თავიანთი უნარით აირჩიონ ის ტიპის საქმიანობა, რომელიც მოთხოვნადია საზოგადოებაში და, შესაბამისად, მათი შრომა კარგად არის ანაზღაურებადი.

2023 წელი კურდღლის წელი იყო, ახალი 2024 წელი კი დრაკონისაა, ჩინური ახალი წელი 2024-ში აღნიშნავს დრაკონის წლის დასაწყისს, რომელიც 2024 წლის 10 თებერვლიდან 2025 წლის 28 იანვრამდე გაგრძელდება.

როგორი იქნება 2024 წელი

დრაკონი ჩინურ ასტროლოგიაში პატივსაცემი სიმბოლოა — ცნობილია თავისი ძალით, სიბრძნითა და წარმატებით. 2024 წლის ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით, გამონაკლისი არც მომავალი დრაკონის წელი იქნება — ის ტრანსფორმაციის, ზრდისა და სიმრავლის წლად ითვლება.

დრაკონი არის იანგის სიმბოლო, რომელიც დაკავშირებულია ცეცხლის ელემენტთან. მოსალოდნელია, რომ ამ დროს მისი პოზიტიური ენერგია გაძლიერდება, რაც ყველასთვის პოზიტიურ ცვლილებებსა და შესაძლებლობებს მოიტანს.

მაგრამ რას ნიშნავს თქვენთვის დრაკონის წელი? ამბობენ, რომ ზოდიაქოს თითოეულ ცხოველს აქვს უნიკალური ურთიერთობა დრაკონთან, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ენერგიის ტიპზე. თუ თქვენ დაიბადეთ დრაკონის ნიშნის ქვეშ, გელოდებათ განსაკუთრებით იღბლიანი წელი წარმატებისა და პიროვნული ზრდის მრავალი შესაძლებლობით.

ჩინურ ასტროლოგიაში ყოველი ზოდიაქოს წელი ასევე ასოცირდება ხუთი ელემენტიდან ერთ-ერთთან: ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი და წყალი. დრაკონის წელი ხის ელემენტთან ასოცირდება.

ჩინურ ფილოსოფიაში ითვლება, რომ ხის ელემენტი წარმოადგენს ზრდის, პროგრესისა და განვითარების საწყის ეტაპებს. ხე ასოცირდება აღმოსავლეთთან, გაზაფხულთან და პლანეტა იუპიტერთან. გარდა ამისა, მისი ენერგია უკავშირდება მწვანე ფერს, ქარიან ამინდს და მითიურ ცისფერ დრაკონს.

ასევე ამბობენ, რომ ხის ელემენტი არის ცეცხლის ელემენტის დედა, რაც ნიშნავს, რომ მას აქვს ვნების, კრეატიულობის და ინოვაციების გაღვივების პოტენციალი. გარდა ამისა, მწვანე ფერი, რომელიც დაკავშირებულია ხის ელემენტთან, შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლის მეტაფორად.

ვის ექნება ყველაზე კარგი წელი?

ვირთხის, მაიმუნის და მამლის ნიშნის ქვეშ დაბადებულებს კარგი წელი ელით. ეს ნიშნები მჭიდროდ უკავშირდებიან დრაკონს, რაც 2024 წელს დიდი წარმატებისა და სიმრავლის დროდ აქცევს.

მეორე მხრივ, ზოგი შეიძლება დაბრკოლებებს წააწყდეს. მაგალითად, ხარის, გველისა და ძაღლის ნიშნები შეიძლება შეხვდნენ გამოწვევებს პირად და პროფესიულ ცხოვრებაში.

მაგრამ არ ინერვიულოთ; არსებობს გზები ამ სირთულეების დასაძლევად. ხარს შეუძლია დაეყრდნოს თავის მოთმინებასა და შეუპოვრობას, გველს შეუძლია გამოიყენოს თავისი ინტუიცია და ადაპტირების უნარი, რათა გადალახოს ნებისმიერი დაბრკოლება. ძაღლს ასევე შეუძლია დაეყრდნოს საკუთარ ერთგულებას და პატიოსნებას.

როგორი იქნება 2024 წელი დრაკონებისთვის?

2024 წელი ამაღელვებელი იქნება დრაკონის წელში დაბადებულებისთვის, რადგან მათი ზოდიაქოს ნიშნის სიცოცხლისუნარიანობა ძლიერდება.

2024 წლის ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით, ხის დრაკონის ენერგია გადამწყვეტ გავლენას მოახდენს დრაკონებზე, გააძლიერებს მათ ბუნებრივ თვისებებს — გამბედაობას, თავდაჯერებულობას და დამოუკიდებლობას. შედეგად, დრაკონები იგრძნობენ ძალაუფლებას, აიღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ ცხოვრებაზე და მიაღწევენ მიზნებს“.

ულოცავენ!

გიორგი (გუგული) ბეგიაშვილს!



ჩვენო ძვირფასო მამა და პაპა, ჩვენო ოჯახის ბურჯო, სიხარულით და დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადებიდან 80 წლისთავს. 2 იანვარი ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყო გამორჩეული თარიღი – ბედობასთან ერთად შენს დაბადების დღეს ვზეიმობდით. ბედნიერები ვართ მთელი ოჯახი, რომ კვლავ ერთად აღვნიშნავთ შენს იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლესა და მხნეობას! კიდევ დიდხანს უნდა გვყავდეთ შენ და დედა!

სიყვარულით, შვილები: ირმა და გიორგი ბეგიაშვილები; რძალი ირინა კირვალიძე; სიძე როინ გუჯიაშვილი; შვილიშვილები: ლუკა, ნიკა, ლიზა ბეგიაშვილები, საბა გუჯიაშვილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში წინასაახალწლო ღონისძიებები გაიმართა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, გოჩა სამუკაშვილთან და ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელთან, ირმა ჯანაშვილთან ერთად საახალწლო ზეიმებს ქ. დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დაესწრო. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა პატარებს დამდეგი ახალი წელი მიულოცა და ბედნიერი მომავალი უსურვა. საახალწლო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში იმართება. პატარებმა მუნიციპალიტეტისგან საახალწლო საჩუქრები მიიღეს.

ამინდი

	ორშაბათი 01.01	სამშაბათი 02.01	ოთხშაბათი 03.01	ხუთშაბათი 04.01	პარასკევი 05.01	შაბათი 06.01	კვირა 07.01
დღე	3 °	9°	11 °	12 °	11°	10 °	8 °
ღამე	–3 °	–1 °	0 °	1 °	1 °	0 °	-1 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (კორესპონდენტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი